# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან სამშაბათი, 3 სექტემბერი 1996 №88 (313) ფასი 40 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

## გენერალური ოსლოში




წუხელ ნორვეგიიდან თბილისში დაბრუნდა საქართველოს ეროვნული გუნდი. მატჩის შედეგი ნაკრების ჩამოსვლამდე ვიცოდით: ჩვენებმა მატჩის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე გაშვებული პენალტით 0:1 წააგეს. „ცხელ კვალზე" გუნდის ხელმძღვანელებთან და ფეხბურთელებთან გასაუბრება ყველასთვის საინტერესო იქნებოდა. ჩვენც აეროპორტშივე აღებულ ინტერვიუებს შემოგთავაზებთ. ჩვენები მაინცდამაინც დასვენებულები რომ არ იყვნენ, დაღლილ სახეებზეც ეტყობოდათ, მაგრამ გასაუბრებაზე უარი არც ერთს უთქვამს...

თამაშს იტალიელთა მწვრთნელი არიგო საკი დასწრებია ქილიშვილთან ერთად. ისლოში ჩაფრენილა ინგლისის ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელიც. ისე, გასაკვირი კია: იტალიელებს პირველი თამაში მოლდოველებთან აქვს და ეს საკი რაღა ქართველების სანახავად მორბოდა. ეტყობა, ჩვენების შესწავლას უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. აკი თავადაც აღუნიშნავს, საქართველოს ნაკრები ხელწამოსაკრავი გუნდი სულაც არ არის, ისინი ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების ყველა ნაკრებისგან განსხვავებულ ფეხბურთს თამაშობენ და საკმაოდ სოლიდურსაცო. ნორვეგიელებთან თამაშშიც მხოლოდ პირველი ათი წუთი გაუჭირდათ, თორემ მერე ტოლი არაფერში დაუდვიათო. საკის თურმე კარგად აქვს ნანახ-შესწავლილი ქართველების უელსთან, ბულგარეთთან და გერმანიასთან თამაშები და ამათ თუ ნორვეგიულსაც დავუმატებთ, ნორვეგიის ნაკრები ნამდვილად არ დაეჩივლება.

ჩვენებს თამაში ოთხი მცველით, ხუთი ნახევარმცველით და ერთი თავდამსხმელით დაუწყიათ: დაცვის ცენტრში შელია და ცხადაძე, ფლანგებზე კუდინოვი და კობიაშვილი; ნახევარდაცვაში საყრდენად ნემსაძე, ცენტრში ქინქლაძე და ქეცბაია, მარჯვნივ გოგიჩაიშვილი, მარცხნივ რეზო არველაძე; თავდასხმაში შოთა არველაძე. მოკლედ, თამაშის მხოლოდ პირველ ათ წუთს ჰქონიათ ნორვეგიელებს უპირატესობა. მერე, როცა ჩვენებს ბურთი დაუჭერიათ, მასპინძლებს გვარიანი ჯაფა დასდგომიათ. ნორვეგიელები რომ ჯაბანნი არ არიან, ეს ყველამ იცის და ბევრჯერაც დაუმტკიცებიათ, არადა, როცა ასეთ გუნდთან სტუმრობისას გატანის შანსი მოგეცემა, უნდა გამოიყენო. მაგრამ ეს ჩვენი ძველი სენია და რას იზამ. ჩივაძე დაღლილი და ჩაფიქრებული ჩანდა...

— ეს ბოლო საკონტროლო თამაში იყო. ბუნებრივია, უნდა შეგვემოწმებინა ჩვენი ფეხბურთელების ფიზიკური და სათამაშო კონდიციები. ოთხი შეცვლაც იმიტომ გავაკეთეთ, რომ დანარჩენების საქმეში გამოცდა გვსურდა. აღსანიშნავია დებიუტანტ კობიაშვილის კარგი თამაში. ახალბედას კვალობაზე მან გამოცდა ჩააბარა, მიუხედავად იმისა, რომ თერთმეტმეტრიანი, რომელიც ნორვეგიელებმა გაგვიტანეს, ლევანის „ანგარიშზეა". მოკლედ, ვნახოთ, დარჩენილ დროსაც მაქსიმალურად გამოვიყენებთ და დანარჩენს მომავალი გამოაჩენს. ნორვეგიელებთან ჩატარებული თამაში ტელევიზიით გადაიცემა და გულშემატკივრებიც ნახავენ.

ჩივაძის მერე ნაკრების მწვრთნელი ოთარ გაბელია მოვიხელთეთ. იგი ჩვენი მეკარის და უკანა ხაზის თამაშით კმაყოფილი იყო.

მწვრთნელების მერე ფეხბურთელებშიც გავერიეთ...

**ლევან კობიაშვილი:** პირველად ვთამაშობდი ნაკრებში და არ ვღელავდი-მეთქი, რომ გითხრათ, მართალი არ ვიქნები. თავიდან გამიჭირდა კიდეც, მაგრამ მერე დავმშვიდდი და რაც შემეძლო, ცდა არ დამიკლია. ეს ნორვეგიელები კარგი ახმახები კი არიან, მაგრამ მათთან თამაში და ბრძოლა მაინც შეიძლება. მე თუ მკითხავ, არავის უნდა შეუშინდე — ბოლოსდაბოლოს, ხომ არ შეგვჭამენ. არ ვიცი, როგორ გამომივიდა ყველაფერი, ამას სხვები განსჯიან, მე კი თავი არ დამიზოგავს. ის პენალტიც ბრძოლაში ავიკიდე არ ყოფილიყო, კარგია, მაგრამ...

**დიმა კუდინოვი:** თავიდან ფლანგზე ვთამაშობდი. მერე, როცა შელია გავიდა, ცენტრში გადავედი და ცხადაძეს შევეწყვე. სამართლე თუ გინდათ, ეს თამაში ფრედ უნდა დამთავრებულიყო. გასატანი ჩვენც გვქონდა, მაგრამ გაგვიცუდდა. ფაქტი კია, წავაგეთ, მაგრამ ურიგოდ არ გვითამაშია. ვფიქრობ, შესარჩევ ტურნირს ნაკრები უფრო მობილური და მომზადებული შეხვდება. მეტი გზა არც გვაქვს — სათქმელი ჩვენც ხომ უნდა ვთქვათ.

**გიორგი ნემსაძე:** პირველი ათი წუთი საკმაოდ არეულად ვითამაშეთ. დიდი ხანია არ შევკრებილვართ და ეს ბუნებრივიც იყო. ძალიან ხშირადაც ვცდებოდით. მაგრამ მერე დავმშვიდდით და თამაშიც დავალაგეთ, რგოლების ურთიერთკავშირიც აგვეწყო და შეიძლება ითქვას, რომ ნორვეგიელებს ბურთი დავუმალეთ. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ წაგების მიუხედავად კარგად ვითამაშეთ. ეს თამაში ქებაში არ ჩამოვგართვათ. ეგაა, ბოლო წუთებზე ისე ველარ ვმოქმედებდით, როგორც საჭირო იყო, თამაში ცოტა აგვერია და შედეგად პენალტი მივიღეთ.

ნორვეგიელები მათთვის ჩვეული ინგლისური ყაიდით თამაშობდნენ — ფლანგებიდან ჩაწოდება და მეორე სართულზე აქტიურობა — მაგრამ გვაჯობესო, ვერ ვიტყვი. ყოველ შემთხვევაში, არც გაგვჭირვებია და არც პანიკაში ჩავვარდნილვართ, საგოლე მომენტებიც გვქონდა. მეორე ტაიმში ყაველაშვილს მარჯვენა ფლანგიდან ჩააწოდეს, ბურთი მეკარესაც გასცდა და მიშა კარის წინ მარტო დარჩა, მაგრამ ბურთს ველარ შესწვდა და...

**შოთა არველაძე:** ნორვეგიელებს 21 თამაშია, შინ არ წაუგიათ და როგორც იქაურები ამბობდნენ, ასეთი ნაკრები მათ ჯერ არ ჰყოლიათ. თვით მსოფლიოს ჩემპიონატისდროინდელ გუნდზე წინ აყენებენ. ალბათ, ტელევიზიითაც აჩვენებენ ამ შეხვედრას და ნახავთ, როგორი თამაში იყო. ნორვეგიელებს გოლამდე მომენტი, ფაქტიურად, არც ჰქონიათ და სულ მცირე, ფრე მაინც ლოგიკური იქნებოდა. მართალია, წაგების შემდეგ ჩემი ეს ნათქვამი, შესაძლოა, არც დაიჯეროთ, მაგრამ ვამბობ იმას, რაც იყო.

გოლი ბრიტანულ სტილში გათამაშებული კომბინაციის შემდეგ დანიშნულ პენალტს მოჰყვა: ფლანგიდან საჯარიმოში ჩააწოდეს, ბურთი კობიაშვილს გადასცდა, მასპინძელთა თავდამსხმელი ხელსაყრელ ვითარებაში აღმოჩნდა და მანაც ბურთი კარისკენ გაიგდო. ლევანს ისღა დარჩენოდა, ბურთზე ეთამაშა, მაგრამ ფეხი ნორვეგიელს მოარტყა და დანიელმა მსაჯმაც უყოყმანოდ დანიშნა პენალტი.

**ნიკა ტოგონიძეს**, მართალია, არ უთამაშია, მაგრამ მასაც დავეკითხეთ — სათადარიგოთა სკამიდან ხომ კარგად ჩანს მოედანზე მიმდინარე მოვლენები.

— პირველი წუთების დაბნეულობის შემდეგ ჩვენებმა მალე შეძლეს მობილიზება, ნორვეგიელები უბურთოდ საკმაოდ არბენინეს. დაცვამ კარგად ითამაშა.

**ნუგზარ ლობჟანიძე:** 63-ე წუთამდე სათადარიგოებში ვიჯექი. კმაყოფილი ვიყავი, ბიჭებს რომ ვუყურებდი. რას წარმოადგენს ნორვეგიის ნაკრები, კარგად გეცოდინებათ და მიხარია, რომ ჩვენებმა ტოლი არ დაუდეს. სახიფათო მომენტი გოლამდე არ შეუქმნიათ. საჰაერო ბრძოლებში არ ჩამოვრჩებოდით, დაბალ ჩაწოდებებში კი ვჯობდით კიდეც. თუ პროცენტული მაჩვენებლით ვიმსჯელებთ, ჩვენ ბურთის ფლობის მაჩვენებელი ოდნავ უკეთესი გვექნებოდა.

ლევიონერებმა კარგად ითამაშეს. განსაკუთრებით ცხადაძე მინდა აღვნიშნო. ის ნამდვილი კაპიტანი იყო. მისი სიმშვიდე ახალგაზრდებსაც გადაეცათ. მე კახაზე კარგის მეტს ვერაფერს ვიტყვი, ისევე, როგორც სხვებზე.

ერთიც მინდა ვთქვა: „დინამოს" ბიჭებს რომ ვუყურებდი, ძალიან გამიხარდა. წარმოიდგინე, რომ ცხოვრებააწყობილ ნორვეგიელებს ფიზიკურად თავი არ დააჩაგვრინეს. 90 წუთი ნამდვილი ბრძოლა იყო. ბიჭებმაც გაუძლეს, ესე იგი, საქმე უკეთესობისკენ მიდის.

**კახი გოგიჩაიშვილი:** ჩვენი ამასწინანდელი მეტოქის „მოლდეს" კაპიტანი რუდიც თამაშობდა, მაგრამ პირველ ტაიმის შემდეგ შეცვალეს. ისეთი შესამჩნევიც არ იყო, როგორც კლუბში. საერთოდ, ნორვეგიის ნაკრების სათამაშო სტილი „მოლდეს" შემდეგ ჩვენთვის ახალი არ ყოფილა. უფრო ძალისმიერ, ბრიტანულ ყაიდაზე თამაშობენ. მრავალფეროვნება, კომბინაციური თამაში არ სჩვევიათ.

სხვათა შორის, თამაში საკმაოდ გახსნილი და კარგი სანახავი გამოდგა. ჩვენი ნაკრების ბირთვი უკვე გამოკვეთილია. მეტადაც შევთამაშდით და, ბუნებრივია, უფრო უკეთესადაც გამოვიყურებით, ვიდრე ადრე.

საქართველოს ნაკრებმა ეს მატჩი ასეთი შემადგენლობით ჩაატარა: ზოიძე, კუდინოვი, ცხადაძე, შელია (ლობჟანიძე 63), კობიაშვილი, გოგიჩაიშვილი, ქინქლაძე (ჯამარაული 67), ნემსაძე, ქეცბაია, რ. არველაძე (ცქიტიშვილი 67), შ. არველაძე (ყაველაშვილი 63)

**მამუკა კვანტალიანი**
**მერაბ მამულაშვილი**

## წუხელ

**ინგლისში** მეოთხე ტურის პირველ მატჩში ლიდერმა „შეფილდ უენსდეიმ" შინ 2:1 მოუგო „ლესტერს".

**ესპანეთში** პირველი ტურის ბოლო შეხვედრაში სტუმრებმა იმარჯვეს: ხიხონის „სპორტინგმა" ბარსელონაში 3:2 დაამარცხა „ესპანიოლი".

აშშ-ის ღია პირველობაზე ჩოგბურთში შვეიცარიელმა ჰინგისმა ასპარეზობიდან გამოთიშა ესპანელი არანჩა სანჩეს-ვიკარიო, შტეფი გრაფმა კი 6:2, 6:1 მოუგო რუს ანა კურნიკოვას.

## ვაზუსტებთ!

წინა „სარბიელში", ვაჟა ქვანიას პრესკონფერენციაზე წერილში იყო ასეთი ფრაზა: გიორგი ნემსაძემ, „ამ თანხის ნაცვლად 4 ოთხოთახიანი ბინა მიყიდეთო".

ვაზუსტებთ: ნემსაძემ მოითხოვა არა ოთხი, არამედ ერთი ოთხოთახიანი ბინა.

## „გუმარმა" სინი დაიბრუნა



გუშინ ვაკის სტადიონზე რაგბის ჩემპიონატის XIII ტურის ორმაგად გამორჩეული მატჩი იყო: ერთი, რომ ლიდერი „ყოჩები" უახლოეს მდევარ „გუმარს" ეთამაშებოდა; და მეორეც, „გუმარი" „ყოჩებსვე" ეცილებოდა გარდამავალ „სარბიელის სინს", რომლის პირველი მფლობელი თავად იყო და წელს მაისში იგი ვერ დაიცვა „ყოჩების" ხელყოფისაგან.

ქართული რაგბის ბობოლათა თამაში ერთობ დაძაბული, მაგრამ ულიმღამო გამოდგა. ბურთაობა ფაქტობრივად არც ყოფილა. სამაგიეროდ, მრავლად იყო ჭიდილი, ტექნიკური შეცდომები და პაუზები. ლელოც ერთადერთი გავიდა.

პირველი ნახევარი ფრედ 6:6 დასრულდა. „გუმარელმა" მოდებაძემ და „ყოჩმა" ტეფნაძემ ორ-ორი საჯარიმო შეაგდეს. მეორე ნახევარში „გუმარმა" დიდი ხნით გადაიტანა თამაში „ყოჩების" მოედანზე. ეფექტური ლელო გარემარბმა ბუგიანიშვილმა გაიტანა, მოდებაძემ კი იგი კიდიდან გარდასახა. ამის შემდეგ „ყოჩები" ბევრს ეცადნენ, მაგრამ ლიპარტელიანის ერთი-ორი რეიდის მეტი ვერაფერი მოიმოქმედეს და სეზონში მეორედ დამარცხდნენ.

„გუმარმა" 13:6 გაიმარჯვა და სინი დაიბრუნა, გარდა ამისა, „ყოჩებსაც" დაეწია. ახლა ორივეს 22-22 ქულა აქვს.

დღეს ვაკეში ჩემპიონატის კიდევ ერთი მატჩია: „ქორები" უმასპინძლებენ ქუთაისის „აიას". თამაშის დაწყება 18 საათისთვისაა დანიშნული.

### რობიზონ ქინქლაძე:
## მორაგბეებო, მოდით, ვიმეგობროთ

ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებულ წერილს „მორიგი ვაკური ომი", არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა. სხვანაირად ვერც იქნებოდა, რადგან იგი ეხებოდა რაგბისა და ფეხბურთის თანაარსებობა–პაექრობას ვაკის სტადიონზე და სტადიონის გამო და ამ უკანასკნელს მერის მოშთობა ბრალდებოდა. საქართველოს რკინიგზის ახლანდელი თავკაცის აკაკი ჩხაიძის ნახვა ვერ მოგვიხერხდა. სამაგიეროდ, ვინახულეთ ფ.კ. „ლოკომოტივის" პრეზიდენტი, გიორგი ქინქლაძის მამა რობიზონ ქინქლაძე, რომელიც ახალი დაბრუნებული იყო ხაშურიდან, სადაც მისმა გუნდმა საქართველოს თასზე ივერიასთან ნულოვანი ფრე ითამაშა.

**— ბატონო რობიზონ, თქვენი მონახულების მიზეზს, უეჭველია, იოლად მიხვდებოდით.**

— ბოლო დღეებია, ვისაც არ შევხვდი, ყველა ამ ამბავზე მეკითხება. სხვათა შორის, წერილის გამოქვეყნებისთანავე შევხვდი ბევრ მორაგბეს და ვკითხე, ჩემი პრეზიდენტობის რამდენიმე კვირის მანძილზე რა იგრძენით ისეთი, ეს წერილი რომ დაგეწერიათ-მეთქი. შორს დაიჭირეს, მაგისი არაფერი ვიცით და არც საფეხბურთო კლუბზე და არც პირადად თქვენზე კარგის მეტი არაფერის თქმა შეგვიძლიაო. რაც კლუბის პრეზიდენტი გავხდი, არ ყოფილა შემთხვევა, ერთხელ მაინც მეთქვას ანაც მიმენიშნებინოს მორაგბეებისთვის, აჰი ეს სტადიონი ჩემია და თქვენ სხვაგან ითამაშეთ-მეთქი. არ ვიცი, ვის და რატომ ჰგონია, თითქოს მე ქართული რაგბის წინააღმდეგი ვარ. მე, გიორგი ქინქლაძის მამა, ყოფილი სპორტსმენი, შეიძლება სპორტის რომელიმე სახეობის წინააღმდეგი ვიყო?! სპორტის ყველა სახეობა მიყვარს, განსაკუთრებით კი ბურთიანი სახეობები. რაგბი ხომ სპორტის ერთ-ერთი ყველაზე ვაჟკაცური სახობაა. მე რომ რაგბისთვის ავგი გავაკეთო, ჩემს გიორგის როგორ შევხედო თვალებში? რა უფლება მაქვს, წინ გადავუდგე სპორტის მთელ სახეობას, რომელსაც მართლაც ეს სტადიონიღა შერჩენია!

**— თქვენი პირადი დამოკიდებულება რაგბის მიმართ ამ სიტყვებიდანაც ჩანს. მე კი მინდა უფრო სტადიონის საკითხს ჩავუღრმავდეთ კონკრეტულად, რადგან საკითხი ამჟამად ასე დგას — „ლოკომოტივის" სტადიონი თუ გამოაცალეს, რაგბს მართლაც საკვდავი უწერია. არადა, სადაცაა, საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა ოფიციალური მატჩები უნდა გამართოს. თუ შეიძლება, უფრო გამოკვეთილად და ცხადად გვითხარით თქვენი, როგორც საფეხბურთო „ლოკომოტივის" პრეზიდენტის აზრი იმის თაობაზე, ვის უნდა ეკუთვნოდეს „ლოკომოტივის" სტადიონი.**

— ჩემი კლუბში მოსვლის დღიდან ამ საკითხის გარკვევაში ვარ და დღემდე ვერ გამიგია. ფაქტი ერთია: დღესდღეობით ეს სტადიონი საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის საკუთრებაა და მისსავე ბალანსზე ირიცხება. მიუხედავად ამისა, მაინც გაურკვეველია, ვის ეკუთვნის რეალურად იგი. მესაკუთრეს ხაზს იმიტომ ვუსვამ, რომ უმნიშვნელოვანეს მომენტად მიმაჩნია. ალბათ დამეთანხმებით იმაში, რომ სტადიონს პატრონი უნდა ჰყავდეს. საჭიროა ერთხელ და სამუდამოდ გადაიჭრას საკითხი, ვის ეკუთვნის იგი. მე უნდა ვიცოდე, ჩემია სტადიონი და მორაგბეები იქ სტუმრები არიან, თუ მე ვარ სტუმარი. სხვანაირად არ გამიგოთ, მაგრამ ამ ხნისა და ამ თანამდებობის კაცი მინდორზე ბალახს თავად ვრწყავ, ბელტებს ვაგებ და მინდვრის საფარი, ასე თუ ისე, მოვაწესრიგე. თავად მორაგბეებიც ხედავენ ამას. ამისთანა მოედანზე თამაში ერთი სიამოვნებაა. როცა ორივე მხარეს გვეცოდინება, ვინაა პატრონი, მეორე მხარე შესაბამისად მოიქცევა და არავითარი პრობლემა არ იქნება. ვიცი, აუცილებლად მკითხავთ და ამიტომ ახლავე გეტყვით: თანახმა ვარ, ამ სტადიონზე ფეხბურთიც ვითამაშოთ და რაგბიც, ოღონდ ამას წესიან-რიგიანი სახე უნდა მიეცეს. თუ საფეხბურთო გუნდს ეკრძალება იმ მინდორზე ვარჯიში, რომელზეც თამაშობს, ეს ალბათ, მორაგბეებმაც უნდა გაითვალისწინონ. ეს ხომ მინდვრის საფარის წესრიგში სამყოფად კეთდება და მორაგბეებს ნაკრები ჩამოუვა უცხოეთიდან თუ საკლუბო გუნდები, თავადაც გაუხარდებათ კარგ მინდორზე თამაში. ფეხბურთისა და რაგბის ერთ სტადიონზე თამაში „უემბლიზე" თუ შეიძლება, ჩვენი სტადიონი რა გამონაკლისია...

მორაგბეებთან სასაყვედურო სხვა მაქვს. თავის დროზე თავად არ მიხედეს და დაკარგეს კიდეც სტუდქალაქის და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტადიონები. იცით, ეს რისი ბრალი იყო? ამ სტადიონებს პატრონი არ ჰყავდა. ჰოდა, ვაკის სტადიონსაც ნუღა დავკარგავთ. ვიმეორებ, როგორც კი ერთხელ და სამუდამოდ გაირკვევა, ვისი საკუთრებაა სტადიონი და მეორე მხარეს, ფეხბურთელები ვიქნებით თუ მორაგბეები, ეს დაზუსტებით ეცოდინება, საქმე უკეთესად წავა, რადგან მეპატრონე მიხედავს მას, სტუმარი კი იჯარით აიღებს-ხოლმე. მოკლედ, ერთხელაც ვიტყვი: მე ორივე პირობაზე თანახმა ვარ და ფეხბურთის და რაგბის ამ სტადიონზე თამაშის წინააღმდეგ სულაც არ გახლავართ.

**— ალბათ თქვენს გუნდზეც გინდათ თქვათ...**

— ამ საქმეში ახალი კაციც ვარ და ძველიც. ახალი ოფიციალურად, თორემ მთელი ცხოვრება გიორგი აღზრდას მოვანდომე და ფეხბურთელის ჩამოყალიბებაში რაღაც-რაღაცეები გამეგება. ძალიან შემაწუხეს ჭორებმა, თითქოს ჯერ „დინამოს" და მერე „მილანის" მოგებას ვაპირებ. როდესაც კლუბის პრეზიდენტობაზე დავთანხმდი, ერთი რამე მსურდა მხოლოდ: თბილისში ყოფილიყო კიდევ ერთი გუნდი, რომელიც ქალაქს ღირსეულად წარმოაჩენდა უმაღლეს ჯგუფში. „მრეტებმა", „შევარდენმა" და სხვა გუნდებმა ეპიზოდურად თუ შეძლეს ეს. რკინიგზას კი, მისი შესაძლებლობების გათვალისწინებით, ძალუძს ძლიერი გუნდის ყოლა. ფეხბურთის ძველ მოყვარულებს ახსოვთ, რა ხალხი თამაშობდა „ლოკომოტივში", მარტო მიშა მესხი რად ღირს. ამიტომაც მინდა, ეს ტრადიციაც აღორძინდეს და ძლიერი გუნდიც ჩამოყალიბდეს. მე ჩემი პროგრამა მაქვს საამისოდ, და დღეს რომ „ლოკომოტივში" თამაშობენ, ეს ბიჭები, ფაქტიურად, ქუჩას მოვწყვიტე. არცერთი მათგანის სახელი გულშემატკივარს ვერაფერს ეტყვის. მათ კი, ერთი თვის შეკრებილმა ბიჭებმა, ჩემპიონატის სამივე თამაში მოიგეს და არც თასზე გამოდიან ურიგოდ. ვფიქრობ, არაფერია ცუდი ამაში, თუ კიდევ ერთი კარგი თბილისური გუნდი შეემატება ქართულ ფეხბურთს. საფეხბურთო „ლოკომოტივი" ცალკე სალაპარაკო თემაა და თქვენი დღევანდელი სტუმრობის მიზეზი ეს არც არის. ამიტომაც გუნდზე საუბარს აქ მოვრჩეთ. გეტყვით მხოლოდ, რომ წელსვე დავგეგმეთ პირველ ჯგუფში გადასვლა.

**— იმით ხომ ვერ დაგვისახელებთ, ინგლისში რომ უნდა გაიყიდნონ 300 000 გირვანქად?**

— არ ვიცი, საიდან მოიტანეს ეს ჭორი, ან რაში სჭირდებოდათ. მსგავსი არაფერი მითქვამს. რაც შეეხება სტადიონის რემონტს, როგორც კი მეპატრონის ამბავი ერთხელ და სამუდამოდ გაირკვევა, სტადიონსაც ეშველება.

**მამუკა კვარაცხელია**

# ევროპელები ბავშვებს გვტაცებენ

ბათუმში ჩამოსული „ეინდჰოვენის მთავარი მწვრთნელის თანაშემწე ტონი ბროინს სლოტმა 16 წლის ახალგაზრდა მეკარე, ზურაბ ბათიაშვილი მოიკითხა. „მე უამრავი მეგობარი მყავს ევროპაში. ერთმა მათგანმა მითხრა, რომ საქართველოში არის 16 წლის, მაღალი, პერსპექტიული მეკარე ზურაბ ბათიაშვილი. ჩვენ მისი გასასინჯად მიწვევა გვსურდა, ამის შესახებ ფაქსითაც ვაცნობეთ მას და ისიც ვთხოვეთ თავი შეეკავებინა სხვა გუნდში გადასვლაზე. მაგრამ, ბათიაშვილს პასუხი არ შემოუთვლია. ახლა ყველა საკითხი გავარკვიეთ და მალე ბათიაშვილს ჩვენთან მივიწვევთ". როგორც შევიტყვეთ, ბათიაშვილი ჰოლანდიაში პარასკევს გაემგზავრება.



ზურაბ ბათიაშვილი

ზურაბ ბათიაშვილი „ეარ ჯორჯიას" მთავარი მწვრთნელის კოტე ჯალიაშვილის გაზრდილია, ისევე, როგორც გიორგი ფარქოსაძე, რომელიც ამჟამად ბუნდესლიგაში დაბრუნებული ბილეფელდის „არმინიას" ახალგაზრდულ გუნდშია სტაჟირებაზე. მწვრთნელის თქმით: „გერმანელები ფარქოსაძით შარშან დეკემბერში დაინტერესდნენ, როდესაც ბილეფელდში გამართულ საშობაო ტურნირზე ვიასპარეზეთ. ტურნირში მონაწილეობდნენ მიუნხენის „ბაიერნის", დორტმუნდისა და მიონხენგლადბახის „ბორუსიების", „შალკე 04-ის, „კაიზერსლაუტერნის", „კიოლნისა" და „არმინიას" 18 წლამდელთა გუნდები, ჩვენ კი 16 წლის ბიჭები გვყავდა და ამის მიუხედავად ფინალში გავედით, სადაც „შალკე 04-ს" 5:2 მოვუგეთ. გერ-



გიორგი ფარქოსაძე

მანელებს განსაკუთრებით გამთამაშებელი გოგა ფარქოსაძე მოეწონათ. ორ-სამ თვეში თბილისში „არმინია" დაგვეკავშირდა, მოვილაპარაკეთ და ზაფხულიდან ფარქოსაძე ამ კლუბის ახალგაზრდული გუნდის წევრია. იგი ჯერ 18 წლისა არ არის და ამის გამო კონტრაქტის გაფორმების უფლება არა აქვს, „არმინიაში" დროებითი ხელშეკრულების საფუძველზეა. ფარქოსაძემ უკვე ორი საკონტროლო შეხვედრაც ჩაატარა და ორივეში გოლი გაიტანა. პირველში — ერთი, მეორეში — სამი.

ამჟამად გოგა საქართველოს 18 წლამდელთა ნაკრებშია მიწვეული და გუნდის ყველაზე უმცროსი წევრი გახლავთ.

უცხოელები კიდევ ერთი ჩვენი მოთამაშით — თავდამსხმელი დათო გოგოლაძით დაინტერესდნენ. ამ ზაფხულს ჰოლანდიაში გამართული ტურნირი მოვიგეთ, იქ ბილბაოს „ატლეტიკოს" წარმომადგენლებმა მოგვმართეს გოგოლაძის მათთან გადასვლის თაობაზე და მალე დათო ბასკეთს გაემგზავრება".

**მერაბ მამულაშვილი**

# მერაბ ჟორდანია
# უეფას კომიტეტის ყველაზე ახალგაზრდა წევრი



ამ ბოლო დროს, ნემსაძის გახმაურებული „საქმის" შემდეგ თბილისის „დინამოს" პრეზიდენტი საყოველთაოდ ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა. ბუნებრივია, რამდენი კაციცაა, ამ საკითხზე იმდენი აზრიც იქნება. პირადად მე ათამდე ვერსია გავიგე, თუმცა მალე ალბათ ბევრი რამ გაირკვევა. ფაქტი ერთია — ჩვენს ფეხბურთში უჩვეულო ამბავი მოხდა. ეს „ბოსმანის ბომბი" ისე მაგრად გამსკდარა, რომ აღმოსავლეთ ევროპასაც გადმოსწვდა და აგერ ჩვენს საფეხბურთო წრეებშიც გვარიანი უსიამოვნება გამოიწვია. ამას მოწმობს ამ ბოლო ხანს მოწყობილი უამრავი პრეს-კონფერენცია თუ გამოქვეყნებული ინტერვიუ. გაზეთის საქმეც ისაა, ყველა დაინტერესებული მხარის აზრი გაგაცნოთ, კომენტარისგან კი ჯერჯერობით თავს შევიკავებთ, ჯერ არ მოგვისმენია გიორგი ნემსაძისთვის, რომელმაც ვრცელი ინტერვიუებისგან თავი შეიკავა და მხოლოდ ის გვამცნო, რომ ჯერ საბოლოოდ არ გაურკვევია საქმე „დინამოს" პრეზიდენტთან და ინტერვიუსაც ამად ერიდება. რაც შეეხება სულ ახლახან „დინამოს" ყოფილი ტექნიკური დირექტორის, ამჟამად კი საკალათბურთო „დინამოს" პრეზიდენტის ვაჟა ჟვანიას მიერ მოწყობილ პრეს-კონფერენციას, ამის თაობაზე „დინამოს" პრეზიდენტმა მოკლედ მოჭრა:

— ამ საკითხებზე ჩვენმა კლუბმა ერთხელ უკვე მოაწყო პრეს-კონფერენცია და ახლა ყველაფრის თავიდან გამეორება უაზრობად მიმაჩნია. ჩემი პოზიცია და აზრი ცნობილია, აწი ვინ რას იტყვის, მათი საქმეა და, მართალი გითხრათ, არც მაინტერესებს.

**— როცა საქმე ფულს ეხება, დამეთანხმებით, უამრავი კითხვა შეიძლება დაიბადოს. თქვენ კი ბრალს გდებენ, რომ საკალათბურთო „დინამოსა" თუ სხვა ორგანიზაციების ვალი გქონიათ.**

— ამ საკითხზეც მოკლედ გიპასუხებთ: „დინამოს" არავისი ვალი არა აქვს და ყველასთან პირნათელია.

**— კიდევ ერთი საკითხი: ადრე თქვით, ეჭვი მაქვს, „ნემსაძის საქმეში" არაველიძეთა ხელი ურევიაო. მათ კი გვითხრეს, რომ მხოლოდ თარჯიმნის მოვალეობას ასრულებდნენ.**

— ჩემი და ტყუპების ურთიერთობა კარგა ხანია სცილდება პრეზიდენტისა და მოთამაშეთა ურთიერთობას. მე გული იმან მატკინა, რომ როდესაც მათ ნემსაძის განზრახვა შეიტყვეს, არ დამიკავშირდნენ და არ შემატყობინეს.

**— პრეს-კონფერენციაზე ისიც თქვით, „დინამოს" ფინანსური მდგომარეობა შერყეულიაო. ახლა როგორი ვითარებაა?**

— ამჟამად კლუბის ფინანსირების ერთადერთი წყარო გიორგი ქინქლაძის ტრანსფერის თანხაა, რომელიც ჩვენს ანგარიშზე სამ თვეში ერთხელ ნაწილ-ნაწილ ირიცხება. სხვათა შორის, რაკი სიტყვამ მოიტანა, ამაზეც მინდა ვთქვა ორიოდე სიტყვა. როდესაც გიორგი ქინქლაძის საკითხი უნდა გამერკვია, იმ პერიოდში მას „დინამოსთან" კონტრაქტის ვადა, ფაქტიურად, ამოწურული ჰქონდა, მაგრამ თავად გიორგიმ ისურვა, რომ მისი გაყიდვით კლუბს ეხეირა და როგორც სჩვევია, ყოველგვარი პრობლემების გარეშე მოვაგვარეთ მისი კონტრაქტის გაფორმება. როგორც ზემოთ ვთქვი, როგორლაც ვახერხებთ და ამ თანხით გუნდს ვაფინანსებთ. ახლა ვნახოთ, როგორ ფინანსირდება ნორმალური ქვეყნის გუნდი, თუნდაც იგივე „მოლდე" ავიღოთ. ევროპაში ყველა კლუბის არსებობის საფუძველი ძლიერი სპონსორებია, რომლებიც მაისურზე თუ სხვა ინვენტარზე რეკლამის განთავსებაში კოლოსალურ თანხას იხდიან. ჩვენ ამ ბედნიერებას მოკლებულნი ვართ. შემდეგ: უცხოური კლუბი უზარმაზარ შემოსავალს იღებს საკუთარი ქვეყნის ტელეკომპანიებისგან მისი მატჩების პირდაპირი ტრანსლირებისთვის, აღარაფერს ვამბობ ევროთასებზე უცხოური ტელეკომპანიებისგან მიღებულ თანხაზე. საზღვარგარეთ კლუბის ბიუჯეტის შევსების ჩვეული საშუალებაა სტადიონებზე სარეკლამო დაფების დადგმა, მაგალითისთვის, ნორვეგიაში მინდვრის გარშემო სამი წყება სარეკლამო დაფები იყო. ჩვენ ამაშიც ვერ შევედრებით. კლუბის შემოსავლის კიდევ ერთი წყაროა სტადიონზე ბილეთების გაყიდვით მიღებული შემოსავალი, რომლის 80-90 პროცენტი კლუბს მიაქვს. ჩვენთან კი ეროვნულ ჩემპიონატზე არას ვამბობ, თუ არ ვცდები, „მოლდესთან" საშინაო თამაშზე 5 000 ლარი შემოვიდა. უცხოური კლუბები სხვადასხვა ლატარიებითა და კომერციული საქმიანობით უდიდეს თანხას იღებენ, ჩვენ კი, ჩვენი ქვეყნის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო ამასაც მოკლებულნი ვართ. შესაძლოა, ძალზე მძიმე სურათი დავხატე, მაგრამ არ ვაჭარბებ. არადა, ადრეც ვთქვი, აგვისტოში კლუბის შენახვა 185 ათასი დოლარი დაჯდა და ალბათ სექტემბერშიც ასე იქნება. ამ დროს არავინ კითხულობს, რამდენს ვწვალობთ, ამდენს რომ ავუდივართ.

**— სახელმწიფოს მეთაურის ცნობილი დადგენილების შემდეგ ხომ კლუბის ბიუჯეტი გვარიანად შეივსო.**

— გეთანხმებით, და ეს უმალ დაეტყო საქმეს. შეიქმნა და გაძლიერდა მეორე გუნდი, კეთილმოეწყო ბაზა, რომელიც დიდი ხანია რემონტს საჭიროებდა. სადაცაა, მესამე, ხელოვნურსაფარიანი მინდორიც ჩადგება მწყობრში. იმ პერიოდში უცხოეთიდან დავაბრუნეთ რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი, რომელთაც „დინამო" ძალზე გააძლიერეს. შევძელით და თბილისის „დინამოს" ფეხბურთელის ანაზღაურება საშუალო ევროპულს მივუახლოვეთ, ორმოც ვეტერან ფეხბურთელს დღემდე ყოველთვიურად ხელფასს ვუხდით, არადა, მოგეხსენებათ, რუსეთში ზოგი ცნობილი ვარსკვლავი კარიერის დამთავრების შემდეგ სიღატაკეში გარდაიცვალა. სანამ შევძელით, კალათბურთის „დინამოსაც" ვუპატრონეთ.

მოკლედ, საქმე ასე თუ ისე აეწყო და ვეჭვობ, დღეს საქართველოში არსებობდეს ვინმე, ვინც კლუბს ასე შეინახავს. „დინამო" კი, მოგეხსენებათ, ჩვენი ნაკრების საბაზო გუნდია — კლუბის თითქმის ყველა ფეხბურთელი რომელიმე ნაკრებშია.

**— როგორც შევიტყვეთ, თქვენი კანდიდატურა უეფას ერთ-ერთ კომიტეტის წევრობაზე იყო წარდგენილი და ამ კომიტეტში აგირჩიეს კიდეც. თუ არ ვცდები, უეფას კომიტეტების წევრებს შორის ყველაზე ახალგაზრდა თქვენ ხართ, ეს ორგანიზაცია კი ცნობილია თავისი კონსერვატორულობით. რომელი კომიტეტის წევრი ხართ და რა მოვალეობა დაგეკისრებათ ახლა?**

— ივლისში ჩვენი ფედერაციის აღმასკომისა და პირადად ნოდარ ახალკაცის რეკომენდაციით ჩემი კანდიდატურა წარდგენილი იყო უეფას ყველაზე დიდი კომიტეტის, პროფესიული ფეხბურთის კომიტეტის წევრობაზე. უეფას აღმასკომმა დაამტკიცა ჩემი კანდიდატურა და 1996-98 წლების განმავლობაში ამ კომიტეტში ვიმუშავებ. „ბოსმანის საქმის" მერე ევროპის საფეხბურთო კავშირის წლობით ნაშენი სტრუქტურა, ფაქტიურად, დაიშალა და უეფა ახალ-ახალ გზებს ეძებს. პროფესიული ფეხბურთის კომიტეტს ევალება სატრანსფერო სისტემის მოწესრიგება, ევროპარლამენტთან საქმის გარკვევა, ყველა ეროვნული ფედერაციისთვის შესაბამისი სატრანსფერო სისტემის მისადაგება და ა.შ. კომიტეტს ხელმძღვანელობს საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი ჟან ფურნიე ფაია. ამ კომიტეტში ყველაზე მეტი, 15 კაცია. მე უკვე შევიმუშავე რამდენიმე წინადადება, რომელთაც 14-15 ოქტომბრის სხდომაზე წარვადგენ.

**— სატრანსფერო საქმეების გარდა კიდევ რა დაგევალებათ?**

— უეფაში სულ თხუთმეტი კომიტეტია, რომელთა წევრების საერთო რაოდენობა 100-110 კაცს შეადგენს. საერთაშორისო მატჩებზე კომისრები სწორედ ამათგან შეირჩევა. ასე რომ, მალე ალბათ მომიწევს საერთაშორისო მატჩებზე დასწრება უეფას კომისრის სტატუსით...

**მამუკა კვარაცხელია**

## კვირის ციტატა

— მიხალიჩ, როგორ ფიქრობ, თუ[illegible] უეფას თასზე თბილისის დინამოელებს გაივლიან?

**ვიქტორ შუსტიკოვი:** [illegible] თუ ეგენი ვერ გავიარეთ, საერთოდ აღარაა ევროთასებზე თამაში საჭირო. მეთანხმები?

... აქ ხელების გაშლა მომიხდა — რკინის ლოგიკაა.

**ყოველკვირეული „ტვოი ფუტბოლ", № 34, 1996 წლის აგვისტო**

## ყიფიანი კონტრდაზვერვაზე მიდის

როგორც შევიტყვეთ, თბილისის „დინამოს" მთავარი მწვრთნელი დავით ყიფიანი 6 სექტემბერს მოსკოვში დაესწრება „ტორპედო" — „როტორის" მატჩს, ხოლო მოსკოველთა მხრიდან კვლავაც მოსალოდნელია მორიგი „დესანტი", ამჯამად „დინამო" — „ბათუმის" მატჩზე. რაც შეეხება ამ შეხვედრის გამართვის თარიღს, იგი შესაძლოა 6 სექტემბრის ნაცვლად 4 სექტემბერს გაიმართოს. ეს კი იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ბათუმელები დათანხმდებიან თბილისელთა წინადადებას მატჩის გადმოტანის თაობაზე.

## თურქებს ავცდით

უეფას თასის ოცდამეთორმეტედფინალის მატჩს მოსკოვის „ტორპედოსა" და თბილისის „დინამოს" შორის, რომელიც მოსკოვში „ლუჟნიკებზე" გაიმართება, შვედი მსაჯები გაუძღვებიან. არბიტრი ლეიფ სუნდელი იქნება, დამხმარენი კი სტენ სამუელსენი და ინგმარ ლარსონი. ამათ სათადარიგოდ მორგან ნორმანი ეყოლებათ.

„ბათუმისა" და „პსვ ეინდჰოვენის" პირველ შეხვედრას შვეიცარიელი მსაჯები მოემსახურებიან: არბიტრი — კურტ ცუპინგერი, ლაინსმენები — რეია რობერი და რონალდ ლორჩერი, სათადარიგო კი — დომინიკ ტაველი.

## ქოლხეთი 4:0 სამგურალი

**ქოლხეთი:** გოგუა, მიქაბერიძე, კაკობია, შ. ხუჯაძე (ზაბულიანი 77), მ. ქობულაძე, ღლონტი, ქუნთელია, გახოკიძე, სოლოღაშვილი, გ. დარასელია, ყულეჯიშვილი (ინიაშვილი 65)

**სამგურალი:** ქვიჩახია, ლ. ქობულაძე, მანაგაძე, გელაშვილი, ჯაბუა, უშვერიძე, ბრეგვაძე (ხურცილავა 51), ესაიაშვილი, გოგელიძე (ფხაკაძე 72), თოდიძე, კ. ჯანაშია (ბუნტური 57)

1:0 დარასელია (39) 2:0 მიქაბერიძე (49) 3:0 ხუჯაძე (68) 4:0 გახოკიძე (75 პ)

**გაფრთხილება:** ლ. ქობულაძე

**მსაჯი:** ს. შალამბერიძე (თბილისი)

## საქართველოს თასი

### ტორპედო 3:2 მაღაროელი

**ტორპედო:** მამარდაშვილი, შეყრილაძე, თურმანიძე, რუხაძე, სიდილიანი, ჯინჭარაძე, კვეტენაძე (ვ. გიგიაძე 59), ი. ხაჭაპურიძე (მუმლაძე 24), გ. მეგრელაძე, შენგელია, ვაჩიბერაძე

**მაღაროელი:** გველესიანი, ქამკაშვილი, იობაშვილი, ასანიძე, გაბრიჭიძე, აბრამიშვილი, ბრეგვაძე, შეყლაშვილი, სამხარაძე, ქობელაშვილი, მწყერაშვილი (ტეფნაძე 88)

1:0 ვაჩიბერაძე (30), 2:0 მუმლაძე (36), 3:0 ვაჩიბერაძე (42), 3:1, 3:2 ქობელაშვილი (68, 84)

**მსაჯი:** თ. მაჭარაძე (ხონი)

სტუმრები ხშირად მიმართავდნენ ხელოვნურ თამაშგარეს და 30-ე წუთზე, როცა ამის მორიგ ცდაში იყვნენ, ჯინჭარაძემ ბურთი გაიგდო და ვაჩიბერაძესთან ერთად მეკარესთან პირისპირ აღმოჩნდა. მას არც პასი დაუგვიანებია თანაგუნდელისთვის და ამან ანგარიში გახსნა. 36-ე წუთზე ჯინჭარაძემ მეორედ გამოიჭირა სტუმრები ხელოვნურ თამაშგარეზე და ორ თანაგუნდელთან, მუმლაძესთან და ვაჩიბერაძესთან ერთად მეკარესთან პირისპირ დარჩა. ჯინჭარაძე ამჯერად მუმლაძესთან გადავიდა „ალავერდს" და მუმლაძემაც პირველი გოლი გაიტანა „ტორპედოში". ტაიმის დამთავრებას სამი წუთი აკლდა, მეგრელაძე მეკარესთან პირისპირ გასვლას ცდილობდა, მაგრამ მცველი მაისურზე ჩამოეკიდა, დაკარგულ ბურთთან ვაჩიბერაძე გაჩნდა: სტუმართა კარში მესამე ბურთი გავიდა. მეორე ნახევარიც მოსაწყენად დაიწყო. 68-ე წუთზე ქამკაშვილმა ძლიერად დაარტყა, მეკარემ მოიგერია, მაგრამ ბურთთან ქობელაშვილი გაჩნდა და ანგარიშში სხვაობა შეამცირა.

მატჩის ბოლო ათ წუთში სტუმრები მოყოჩაღდნენ და შედეგმაც არ დააყოვნა: დამთავრებამდე ექვსი წუთით ადრე მწყერაშვილმა ძლიერად დაარტყა კარისკენ, ბურთმა გზად ქობელაშვილის თავიც „მოინახულა" და კარში შევარდა. ძნელი სათქმელი იყო, ქობელაშვილმა თავი დაუხვედრა, თუ შემთხვევით მოხვდა, მაგრამ ლამაზი გოლი კი გამოვიდა. მატჩის ბოლოს მაღაროელებს ანგარიშის გათანაბრებაც შეეძლოთ: მეკარეს საზიფათოდ მიახლოებულმა ჭიათურელმა მოულოდნელად წაიფორხილა და ბურთიც დაკარგა. ამასობაში მსაჯმაც ჩაპბერა და ფეხბურთელებისა და მაყურებლების ტანჯვას ბოლო მოუღო.

**სოსო ბარქაია ქუთაისიდან**

## ბომბარდირები

| | | | თ | პ | გ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 - | დავით უჯმაჯურიძე | „ბათუმი" | 4 | (1) | 7 |
| 2 - | ლევან ხომერიკი | „დინამო" | 4 | (-) | 5 |
| 3 - | დათო გოდერძიშვილი | „გურია" | 5 | (-) | 4 |
| | არმაზ ჯელაძე | „გორდა" | 5 | (-) | 4 |
| | ზაზა ზირაქიშვილი | „გორდა" | 5 | (-) | 4 |
| | ამირან მუჯირი | „ბათუმი" | 5 | (-) | 4 |

## V ტურის სტატისტიკა

| | სულ | | მასპინძლები | | სტუმრები | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ტური | 96-97 | ტური | 96-97 | ტური | 96-97 |
| თამაში | 8 | 38 | 8 | 38 | 8 | 38 |
| მოგება | 6 | 33 | 4 | 28 | 2 | 5 |
| ფრე | 2 | 5 | 2 | 5 | 2 | 5 |
| წაგება | 6 | 33 | 2 | 5 | 4 | 28 |
| გოლი | 26 | 118 | 17 | 97 | 9 | 21 |
| საშუალო შედეგიანობა | 3,25 | 3,11 | 2,13 | 2,55 | 1,12 | 0,55 |
| პენალტი | 3 | 10 | 3 | 8 | 0 | 2 |
| გამოყენებულია | 3 | 10 | 3 | 8 | 0 | 2 |
| რეალიზაცია | 1,0 | 1,0 | 1,0 | 1,0 | 0 | 1,0 |
| დიდი ანგარიშით მოგება | 4 | 17 | 3 | 16 | 1 | 1 |
| აგებდნენ და მოიგეს | 0 | 2 | 0 | 2 | 0 | 0 |
| ჰეთ-თრიქი | 0 | 2 | 0 | 2 | 0 | 0 |
| დუბლი | 6 | 18 | 4 | 15 | 2 | 3 |
| გაფრთხილება | 9 | 59 | 2 | 30 | 7 | 29 |
| გაძევება | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |

● პირველ, მესამე და მეხუთე სვეტებში მოცემულია ბოლო ტურის ტექნიკური შედეგები

● მეორე, მეოთხე და მეექვსე სვეტებში მოცემულია მიმდინარე ჩემპიონატის ჯამური მაჩვენებლები

## კახა ელაშვილი გადადგა!



„მარგვეთთან“ წყალტუბოში გამართული საშინაო მატჩის წაგების შემდეგ „სამტრედია“ ერთობ რთულ ვითარებაში აღმოჩნდა: ჩემპიონატის ხუთი შეხვედრიდან ოთხი წააგო, აქედან ორი — შინ. სწორედ ეს გახლდათ მიზეზი 31 აგვისტოს გუნდის საწვრთნელ ბაზაზე, დიდ ჯიხაიშში, კლუბის ხელმძღვანელთა, ფეხბურთელთა და გულშემატკივართა საერთო კრების გამართვისა.

ამ შეკრების შემდეგ დავუკავშირდით გუნდის აწ უკვე ყოფილ მთავარ მწვრთნელს კახა ელაშვილს:

— გუნდის სატურნირო ვითარება მართლაც ძალიან მძიმეა — გვითხრა მან — ხუთიდან ოთხმა წაგებამ საქმეები მთლად აგვირია. გავიგე, ჩემს განთავისუფლებას აპირებდნენ. ეს ჩემი სურვილიც იყო. არ უარვყოფ, გუნდის წარუმატებლობაში ჩემი წილიცაა, ალბათ, ღირსიც ვიყავი განთავისუფლებისა და ვამჯობინე, ჩემით გადავმდგარიყავი. გადადგა ჩემი თანაშემწეც — ლეონარდ გეგეშიძე. მორიგ ვარჯიშზე გუნდი ბადრი ქორიძემ გაიყვანა.

ბოლოს ერთს ვიტყვი: გუნდის შექმნა-ჩამოყალიბებას 2-3 წელი სჭირდება, 2-3 თვეში ეს საქმე შეუძლებელია. ამის მიუხედავად, მე ჩაჩუასგან ნაწყენი არ მივდივარ, ჩვენ არანაირი უსიამოვნება არ მოგვსვლია. შენი გუნდი ოთხ შეხვედრას რომ წააგებს, უნდა გადადგე. მაგრამ, ვიმეორებ, გუნდი არა თუ ჩემპიონატამდე, პირველი ტურების შემდეგ შეიკრიბა და 2-3 თვეში გუნდის ჩამოყალიბება ვის გაუგია?

## ხიზანიშვილი გძელიძემ შეცვალა



„მერანი-91“-ის ყოფილი მთავარი მწვრთნელი ანზორ გძელიძე, უკვე მესამე ტურია, ბოლნისის „სიონიდან“ წასული ნოდარ ხიზანიშვილის ნაცვლად ასრულებს მთავარი მწვრთნელის მოვალეობას.

## არჩვაძე გერმანიას უმიზნებს

„მერანი-91“-ის მცველის ზურაბ არჩვაძის თქმით, იგი გუნდში დიდხანს დარჩენას არ აპირებს: „მერანში“ ერთი პირობით მივედი, თუკი უცხოეთში წასვლის შანსი გამიჩნდებოდა, არ დამაბრკოლებდნენ. მალე, ალბათ, გერმანიის მეორე ბუნდესლიგის რომელიმე გუნდში წავალ გასასინჯად ჩემი შუამავლის დახმარებით“.

## ხორხელი მახარაძეს დაუბრუნდა

თბილისის დინამოელი ლევან ხორხელი, რომელიც მანამდე თელავის „კახეთში“ თამაშობდა, თბილისის „მერანი-91“-ში გადავიდა. ისევე როგორც „კახეთში“, ხორხელს „მერანშიც“ თემურ მახარაძის ხელმძღვანელობით მოუწევს თამაში.

## რუსებს ოქტომბერშიც ვხვდებით

საქართველოს 16 წლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელის რევაზ გაგუას თქმით, უკვე შეთანხმებულან, რომ 12 და 13 ოქტომბერს თბილისში (სავარაუდოდ, ეროვნულ სტადიონზე) გაიმართოს ორი ამხანაგური შეხვედრა საქართველოსა და რუსეთის ნაკრებებს შორის. „ოქტომბერში საბერძნეთში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ქვეჯგუფის თამაშები გველის. რუსებთან შეხვედრები ჩვენი გუნდის მზადყოფნის საბოლოო შემოწმება იქნება. საბერძნეთში ორ მატჩს ვითამაშებთ — ბერძნებთან და ბულგარელებთან. საბერძნეთისთვის მზადების პროგრამით ახლახან ლაგოდეხში შეკრებაც მოვაწყვეთ. პირობები მშვენიერი გვქონდა, მთელმა რაიონმა ზრუნვა არ დაგვაკლო. საგრძნობია ის გარემოება, რომ გვაკლია ტანმაღალი მოთამაშეები. ფიზიკური მზადყოფნის ხარისხი ოდნავ კი გავაუმჯობესეთ, მაგრამ საკმარისი იქნება თუ არა ეს, ამას საბერძნეთის თამაშები გვიჩვენებს.



# საქართველოს თასი
## VII გათამაშება
## მეთექვსმეტედფინალი

# სულაც ცხინვალიდან დაერტყა

**შევარდენი 5:1 ცხინვალი**

შევარდენი: მოსულიშვილი, ე. ალადაშვილი (გაგუა 46), ვერემჩუკი (ჩიგოშვილი 46), თ. კობიაშვილი, თელიაშვილი, მინდიაშვილი (გიორგი ქორიძე 58), მელქაძე, კობესაშვილი, კანკავა, საბიაშვილი, როსტიაშვილი

ცხინვალი: დ. მაისურაძე (ილურიძე 53), გრ. ყაჩლიშვილი, სამხარაძე (ეჯოშვილი 58), ცხადაძე, ჩიტაია, ნადიბაიძე, ზ. მაისურაძე (ხოხობაშვილი 62), ელიკაშვილი, მიდელაშვილი, გ. ყაჩლავაშვილი, ბოჭორაძე

1:0 კობესაშვილი (2), 2:0, 3:0 როსტიაშვილი (5, 16), 4:0 ჩიგოშვილი (55), 5:0 კობიაშვილი, 5:1 ნადიბაიძე (78)

მსაჯი: ე. სილაგავა (თბილისი)

შეხვედრას, ჰა, ჰა, 150 კაცი ესწრებოდა. შუა თამაშს შემოსწრებულმა ბავშვმა რომ იკითხა, პუჭურიკა (დათუაძეს გულისხმობდა) თუ თამაშობსო, სიცილი დააყარეს, ის გუნდი სადღაა, ისინი სხვაგან წავიდნენ და მათ ნაცვლად ახლები მოვიდნენო. ჰოდა, ახლა ეს ახლები, სულ 18-19 წლის ბიჭები ისე თამაშობდნენ, რომ ბევრს იმედი გაუჩნდა, კიდევ ერთი თვითმყოფადი და იმედისმომცემი გუნდი გვყავსო. შარშანდელი შემადგენლობიდან „შევარდენს“ ხუთი კაცილა შერჩა: მელქაძე, სიდამონიძე, ალადაშვილი, მინდიაშვილი და კანკავა. ამათი უმეტესობა ძირითადი შემადგენლობის წევრია და ახალგაზრდათა მოზღვავებული ენერგიისა თუ ენთუზიაზმის დაბალანსებას ცდილობს. ეს ახალი „შევარდენი“, რომელიც სინამდვილეში „უნივერსიტეტი“ უფროა, ურიგოდ სულაც არ თამაშობს, მაგრამ თუ ვინმეზე ითქმის, გამოცდილება არ ჰყოფნისო, სწორედ ამ გუნდზე. შევარდენები ყველაფერს აკეთებენ თამაშის მოსაგებად: კარგადაც იცავენ თავს კარგი მეკარისა და რიგიანი დაცვის წყალობით, კარგადაც უტევენ ტექნიკური და საზრიანი ნახევარმცველებისა და სწრაფი თავდამსხმელების მეოხებით, მაგრამ... გოლი იშვიათად გააქვთ. ჩემპიონატის პირველ ოთხ მატჩში სულ ორი ბურთი გაიტანეს და ვინ მოსთვლის, რამდენი საგოლე მომენტი ვერ გამოიყენეს.

სათასო მეტოქე „ცხინვალი“ მათთვის ის მეტოქე არ იყო, ვისი დაცვის გარღვევაც თბილისელთათვის პრობლემა უნდა ყოფილიყო, მაგრამ გატანილი გოლების სიუხვის მიუხედავად აცილებულთა, ანაც გამოუყენებელ მომენტთა რაოდენობა 3-4-ჯერ მეტი გახლდათ.

„ცხინვალი“ უკვე ორი წელია არსებობს და ამ ხნის მანძილზე მის არსებობას წმინდა სიმბოლური თუ ეთქმის. მათ მიერ III თუ II ჯგუფში დაკავებული ადგილები ყველაზე უარესზე ოდნავ უკეთესია, მაგრამ ეს გუნდი ჯიუტად მაინც განაგრძობს არსებობას და ამაში ზოგიერთი გარემოება კიდეც ეხმარება. ჩვენს ფედერაციას მადლი მოუსხამს და „ცხინვალისთვის“ საშეჯიბრო გადასახადი არ დაუკისრებია. ყველა მსაჯი და ინსპექტორი კი მოვალე ყოფილა, სეზონში ერთხელ ცხინვალელთა საშინაო თამაშს უსასყიდლოდ მოემსახუროს. მასპინძლობით კი ეს გუნდი გორში მასპინძლობს მეტოქეებს.

თამაში ორი წუთის დაწყებული იყო, „შევარდენმა“ სტუმარს პირველი გოლი რომ გაუტანა. „ცხინვალმა“ ხელოვნური თამაშგარეს შექმნა განიზრახა, მაგრამ ალადაშვილის გრძელ გადაცემას კობესაშვილი შეჰყვა და ანგარიში გახსნა. სამ წუთში როსტიაშვილმა გამოიყენა მინდიაშვილის პასი და საქმეს ისეთი პირი გამოუჩნდა, რომ ანგარიში კატასტროფული უნდა ყოფილიყო. ეს ასეც მოხდა, რადგან როსტიაშვილის კიდევ ერთი, ჩიგოშვილისა და კობიაშვილის გოლებით 57-ე წუთისთვის „შევარდენი“ უკვე 5:0 იგებდა. ამასობაში სტუმრები შიგდაშიგ უკვე კი უტევდნენ, ორჯერ მეკარესთან პირისპირაც გავიდნენ, მაგრამ ერთხელ თბილისელთა მეკარემ იმარჯვა, მეორედ კი მიდელაშვილმა ვერ ივარგა. „შევარდენი“ არც ხუთი გოლის შემდეგ გაჩერებულა — საბიაშვილმა იმდენი გააცუდა, სამ თამაშზე ეყოფოდა, მაგრამ, სად იყო და სად არა, ცხინვალელმა ნადიბაიძემ შორიდან ისეთი დაარტყა, მოსულიშვილი ვერას გახდა. ნადიბაიძემ მარცხნიდან აუტისა და ცენტრალური ხაზის კუთხის სიახლოვიდან შორეულ კუთხეში გაგზავნა ბურთი და... ასეთი გოლის ავტორობაზე ნებისმიერი პირველჯგუფელი მოაწერდა ხელს. თანაც, ხომ იცით, გოლს მეკარეს ნახტომი ალამაზებს. მოსულიშვილიც გაიჭიმა, მაგრამ ტყუილად.

**ვახტანგ ბზიკაძე**



ბადრი ქეთიშვილის ფოტო

შევარდენელი კობესაშვილისა და ცხინვალელი ნადიბაიძის ორთაბრძოლა

**გორდა 2:1 მორკინალი**

გორდა: კოროშინაძე, ი. ხუჯაძე, სილაგაძე, პატარიძე, მ. სახვაძე, რეხვიაშვილი, მელაძე, არსოშვილი, ა. ჯელაძე, კედელაშვილი (მენთეშაშვილი 64), ალადაშვილი

მორკინალი: გახოკიძე, ბოსტოლანაშვილი, ხევსურიანი, ი. ვაშაკიძე, ლაპიაშვილი, აბაზაძე, კაპანაძე (იუშტროვი 77), ალავიძე (ნადირაძე 34), დვალიშვილი, გოჩაშვილი (ურუშაძე 77), კორძაძე

1:0, 2:0 ჯელაძე (1, 9) 2:1 გოჩაშვილი (37)

გაფრთხილება: იუშტროვი

მსაჯი: ი. კახიანი (თბილისი)

ამ თამაშმა რუსთავში დიდი ინტერესი გამოიწვიაო, ნამდვილად ვერ იტყოდით. რუსთაველებმა სტადიონზე მისვლას შინ დარჩენა და დასვენება არჩიეს და აკი არც შემცდარან. სანახავად თამაში დიდი ვერაფერიშვილი გახლდათ. მასპინძელთა გუნდი რომ შარშანდელთან შედარებით კი გაახალგაზრდავებულა, მაგრამ საკმაოდაც მოსუსტებულა, ეს აშკარაა და ამაზე ადრეც გვითქვამს. ამ დღეს კი ამას ისაც დაერთო, რომ არ უთამაშია „გორდას“ წინა ხაზის ლიდერს ზირაქიშვილს. მიზეზი ის გახლდათ, რომ იგი ახალგაზრდული ნაკრების წევრია და 3 სექტემბერს უკრაინელ თანატოლებთან კიევში სათამაშოდ ემზადებოდა. წლევანდელ სეზონს ვერც „მორკინალი“ შეხვდა ძველებურად. მთავარი მწვრთნელი და 5-6 ფეხბურთელი უცხოეთში გაიკრიფა, დაცვის ბურჯი დავით კველიშვილი კი ტრავმირებული იყო. ბუნებრივია, სტუმრების დაცვა ამან საკმაოდ არია, მაგრამ მათ ვერც თავდასხმაში ჰქონდათ რიგიანად საქმე, რაც გოდერძი ნატროშვილის კვიპროსის „აპეპში“ წასვლამ განაპირობა. „მორკინალი“ ამ ხარვეზთა შევსებას უკეთესი ფიზიკური მომზადების წყალობით ეცადა და ეს მოახერხა კიდეც.

დასაწყისი სტუმრებს კარგს არაფერს უქადდა. გუნდებს მისალმება ხეირიანად არც დაესრულებინათ, რომ მასპინძელმა კედელაშვილმა მარჯვენა ფლანგიდან კარის წინ მყოფ თანაგუნდელ არმაზ ჯელაძეს ჩააწოდა, რუსთაველთა გოლეადორის თაური კი მეკარემ საკუთარ კარში მოიგერია. 25-ე წამზე გაშვებულმა გოლმა სტუმრები ბრინჯივით დააბნია. არსოშვილი, ჯელაძე, კედელაშვილი და ალადაშვილი „მორკინალის“ დაცვას დაერივნენ და ამას ისიც დაერთო, რომ სტუმართა ორი განაპირა მოთამაშე, აბაზაძე და ალავიძე, რომელთაც ფლანგები უნდა ჩაკეტათ, დავალებას თავს ვერ ართმევდა. მალე არსოშვილი გაიჭრა მარცხენა ფლანგზე, კარგადაც ჩააწოდა, მაგრამ ალადაშვილმა ხელსაყრელი შანსი გააცუდა. მეცხრე წუთზე კი ამის ტყუპისცალი კომბინაცია გოლით დასრულდა. ისევ არსოშვილმა ისევ ალადაშვილს ჩააწოდა, კახას დარტყმული აბაზაძემ კარიდან კი გამოიტანა, მაგრამ ჯელაძემ ამჯერადაც ივარგა და მასპინძლები 2:0 დააწინაურა. ამ ანგარიშმა რუსთაველები დაამშვიდა, იფიქრეს, იოლად ვიგებთო, მოდუნებას და მეტოქის აგდებას კი ვისთვის ურგია, მათთვის რომ ერგო. სტუმრებმა სუსტად მოთამაშე ალავიძე პირველ ტაიმშივე ნადირაძით შეცვალეს, მან კი ერთობ გაუმართლათ და „მორკინალმა“ კონტრშეტევებს უხშირა. ერთხელაც კორძაძე მასპინძელთა დაცვას გაეპარა, მეკარესთან თითქოს პირისპირაც უნდა გასულიყო, იგი კი ყველასთვის მოულოდნელად ამ მარტივ სიტუაციაში მცველს გაეთამაშა, ბურთი უკან თავზე გადმოატარა და, ცხადია მომენტიც დაკარგა. სამიოდ წუთში სტუმრებმა მაინც იხეირეს. ნადირაძის კუთხურიდან ჩამოწოდებულს გოჩაშვილი შესწვდა და მისი თაური კოროშინაძისგან მარცხენა ცხრიანში ჩაეშვა. ამის შემდეგ ტაიმი ისე მორჩა, ხეირიანი აღარაფერი მომხდარა. აქ ბარემ ერთსაც ვიტყვით: არცერთ ჩვენს გუნდში ფეხბურთელებს იმდენი მეტსახელი არ ექნებათ, რამდენიც ეს „მორკინალშია“ — „ცქიფო“, „კიტრო“, „მავნე“, „ეომსკი“, „მაღალო“... არის ერთი გნიასი.

მეორე ნახევარში რუსთაველებს ჰქონდათ ორი-სამი ხელსაყრელი მომენტი, მაგრამ ყველა გააცუდეს. ის კი არა, კინაღამ დაისაჯნენ კიდეც დვალიშვილი რუსთაველთა გოლკიპერთან პირისპირ გავიდა, მაგრამ „კიტროსთან“ დუელი კოროშინაძემ მოიგო. თამაშის ბოლოს რუსთაველები, ასეთი შედეგი ხელს არ გვაძლევსო და გააქტიურდნენ, მაგრამ სტუმრებიც რომ არ იღლებოდნენ: ფიზიკურად „მორკინალი“ „გორდას“ არაფრით ჩამოუვარდებოდა. მარცხენა მცველი აბაზაძე, რომელიც დასაწყისში მაინცდამაინც საიმედოდ ვერ ირჯებოდა, გარდაიქმნა და იქით შეუტია, თუმცა ისიც აშკარად ჩანდა, რომ იგი მცველი არ არის და გუნდის ინტერესების გამო თამაშობდა დაცვაში. მასპინძლებს კი, ზემოთაც ვთქვით, ძალიან ეტყობოდათ ზირაქიშვილის არყოფნა — ზაზა ხომ მათ თავდასხმას უფრო მობილურს და მიზანსწრაფულს ხდის. საბოლოოდ, არბიტრ იოსებ კახიანის ბოლო ჩასტვენამ რუსთაველთა მინიმალური უპირატესობა დააფიქსირა.

**მამუკა კვანტალიანი**
**რუსთავიდან**

# კაცურმა ლაპარაკმა გაჭრა

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მერანი 4:0 შირაქი**

მერანი: ნაჭყებია, ივანიშვილი, ჯიშკარიანი, კენჭიაშვილი (კაკუბავა 46), ზ. არჩვაძე, გელა ქორიძე, გოგიბერიშვილი, დინელია, ჭოლოკავა, თოლორდავა (ბ. კვარაცხელია 31), პერტია (მაზიაშვილი 68)

შირაქი: ზ. ხუციშვილი, ჯიკაევი, ქენქაძე, ლომსიანიძე, ჩხაიძე, შაიშმელაშვილი, ხუბეჯიშვილი, ელოშვილი, ცისკარაული, ტოკლიკიშვილი, ამისულაშვილი

1:0 პერტია (47) 2:0 ქორიძე (65 პ) 3:0 კვარაცხელია (79) 4:0 კაკუბავა (87)

მსაჯი: შ. ბერიძე (ასპინძა)

მერანელებმა რანგით დაბალ მეტოქესთან შეხვედრა თავიდანვე შეტევებით დაიწყეს. თუმცა უნდა ითქვას, რომ ერთგვარად მოდუნებულნი იყვნენ და პირველ ტაიმში თავიანთი სათამაშო და ტერიტორიული უპირატესობა სათანადო შედეგით ვერ გამოხატეს. როგორც ჩანს, პირველ ჯგუფში აკლიმატიზაცია გავლილმა მერანელებმა დედოფლისწყაროელები ღირსეულ მეტოქედ არ მიიჩნიეს და პირველ ტაიმში ამის გამო დაისჯებოდნენ კიდეც. სტუმართა ვეტერან ხუბეჯიშვილს პირისპირ დარჩენის შემდეგ ნაღდი საგოლე მომენტი რომ გამოეყენებინა. თავდაჯერებულმა მერანელებმა პირველ ნახევარში ვერაფერი მოახერხეს. აი, მეორეში კი ვითარება რადიკალურად შეიცვალა — მათ სისწრაფეს ოდნავ მოუმატეს და „შირაქის“ განადგურებას შეუდგნენ. წლევანდელ სეზონში დამკვიდრებულ უხვგოლიანობის ტრადიციას არც მათ უღალატეს, თუმცა „მხოლოდ“ ოთხი ბურთი გაიტანეს. დედოფლისწყაროელი ვეტერანი ფეხბურთელები მეორე ტაიმში აშკარად დაიღალნენ და პირველ 45 წუთში მიღწეული ფრე წყალს გაატანეს. სტუმართაგან მხოლოდ მეკარე ხუციშვილის გამორჩევა შეიძლება, მან ორჯერ მოხსნა ცხრიანიდან „მკვდარი“ ბურთები და უამრავჯერ იხსნა ხიფათისგან გუნდი.

„ტორპედოსთან“ საჩემპიონატო მატჩის წინ „მერანის“ მთავარმა მწვრთნელმა რამდენიმე მოთამაშეს — დოლიძეს, კვარაცხელიასა და დავითაშვილს დასვენების საშუალება მისცა. თუმცა ერთ მათგანს — ბადრი კვარაცხელიას მაინც მოუხდა მოედანზე გამოსვლა. მატჩში გატანილი ოთხი გოლიდან ერთი მის ანგარიშზეა.

მოკლედ, „მერანის“ გამარჯვება დამაჯერებელი იყო.

თემურ მახარაძე: თავიდან ცუდად დავიწყეთ. მიზეზი ფსიქოლოგიის სფეროში უნდა მოვიძიოთ. მიუხედავად ჩემი მცდელობისა, ფეხბურთელები სათამაშოდ ვერ განეწყვნენ. პირველი ტაიმის შედეგმა მათზე გამაღიზიანებლად იმოქმედა. შესვენებისას ჩვენ კაცური ლაპარაკი გვქონდა, თანაც, გარკვეული გადაადგილებები მოვახდინე და მეორე ტაიმში „მერანი“ უკვე სულ სხვა გუნდი იყო.

გივი პაპუაშვილი: პირველ ტაიმში ენთუზიაზმის წყალობით ფრეს მივაღწიეთ, მაგრამ კლასმა მაინც თავისი გაიტანა. ჩვენები ფიზიკურადაც გადაიღალნენ და ამიტომ წავაგეთ.

**მერაბ მამულაშვილი**

## საქართველოს თასი
### მეთექვსმეტედფინალი

პირველი მატჩები

გურია 7:1 ოდიში 2
ოდიში 5:1 ბათუმი 2
ტორპედო 3:2 მაღაროელი
სამტრედია 1:0 სულორი
სამგურალი 1:0 იმერეთი
დილა 2:1 დინამო 2
მერანი 4:0 შირაქი
სიონი 2:0 არმაზი
გორდა 2:1 მორკინალი
ივერია 0:0 ლოკომოტივი
კახეთი 2:2 ასკ
შევარდენი 5:1 ცხინვალი

საპასუხო მატჩები
9 ოქტომბერს გაიმართება

FRANCE 98

## შესარჩევი ტურნირი

### II ჯგუფი

**მოლდოვა 0:3 ინგლისი**

**მოლდოვა:** რომანენკო, სეკუ, ტესტიმიცანუ, ნანი, გაიგამშჩიკი, კურტიანუ, ეპურეანუ, მიტერევი (რებეჯა 61), პოპოვიჩი, კლეშჩენკო, სისჩინი (ბელოუსი 58)
**ინგლისი:** სიმენი, გ. ნევილი, პირსი, ინსი, პალისტერი, საუთგეიტი, ბექემი, გესქოინი (ბეტი 81), შირერი, ბარმბი (ლეტისიე 81), ჰინჩკლიფი
**გოლი:** ბარმბი (24), გესქოინი (25), შირერი (61)
**გაფრთხილება:** კლეშჩენკო, პირსი, ინსი

# მივიდა. ნახა. გაიმარჯვა

### ისინი მათზე

თუ საწინააღმდეგო არაფერი გექნებათ, ამ თამაშზე მომხდარი ამბების გარდა, ერთიორს სხვასაც გეტყვით. ჩვენი ჯგუფია, ჩვენი მეტოქეები არიან. ქართველებმა კარგად ვიცით, რომ ბრიტანელები გარემოს დიდ




ბელოუსი და ეპურეანუ გესქოინის შეჩერებას ამაოდ ცდილობენ

ყურადღებას აქცევენ. და ალბათ არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ სხვა დასავლეთევროპულ ერებზე მეტად განიცდიან საყოფაცხოვრებო დისკომფორტს. კიშინიოვში ვიზიტის შემდეგაც ინგლისურმა პრესამ საგანგებო ადგილი დაუთმო იქაური ყოფაცხოვრების აღწერას. მართალია, ჩვენ, თბილისში აეროპორტი, სასტუმრო და სტადიონი მოლდოვეთის დედაქალაქისაზე უკეთესი გვაქვს, თან ფეხბურთის სათამაშოდ ჩამოსულ ევროპელებს, წესით, უპირატესად ეს სამი პუნქტი უნდა აინტერესებდეთ, მაგრამ, მოგეხსენებათ, პოსტსაბჭოური ქვეყნები ჯერ კიდევ ძალზედ ბევრი რამით ჰგვანან ერთმანეთს, ბრიტანელ ჟურნალისტებს კი სასტუმრო „მეტეხის" ზზინვაზე არანაკლებ დეზერტირების მყრალი სუნი და მუხლებამდე ნაგავი მოსწყვეტს თვალს.

ინგლისი ჩვენთან სათამაშოდ 9 ნოემბერს ჩამოდის. მთავარია, მოედანზე გავუმასპინძლდეთ, როგორც ხანდახან გვჩვევია და სხვას როგორმე გავუძლებთ, რადგან გამოყვანილი, გამძლე ჯიშისანი ვართ. კიშინიოვში ჩასვლამდე და იქ ყოფნისას კი ინგლისელებს ასეთი პრობლემები ჰქონიათ:

გამგზავრების წინ, ფეხბურთელებს ისე რა გულშემატკივარი ნაცნობები თუ გამვლელ-გამომვლელნი რომ ეკითხებოდნენ, სად მიდიხართო და პასუხად მოლდოვას ისმენდნენ, მეორე შეკითხვასაც სვამდნენ, ეგ რაღააო. საკუთრივ მოთამაშეებს კი აინტერესებდათ, იმუშავებს თუ არა კიშინიოვში მათი მობაილი (ჩვენში დალოცვილი რუსულით „სოტოვი" ტელეფონს რომ უწოდებენ), არის თუ არა მოლდოვა სატელიტის არეალში და ასე შემდეგ. კიდევ, წინასწარი დაზვერვის თანახმად, გზად აყრილებს ჰქონდათ ინფორმაცია, რომ სასტუმროებში ხანდახან ცხელი წყალი წყდება და თუ არ გაუმართლებთ, შესაძლოა მთელი ვიზიტის განმავლობაში ერთხელაც ვერ იბანაონ.

კიშინიოვის აეროპორტში ჩასულებს თვალში რუსულენოვანი ჯარისკაცების სიმრავლე ეცათ. ქალაქში რომ გასულან, უფიქრიათ, აქ ალბათ ბლოკადა ცოტა ხნის წინ მოხსნესო. ერთი რამ კი მოსწონებიათ (ჟურნალისტებს) — ავტობუსები იმაზე უკეთესი ყოფილა, ატლანტის ოლიმპიადაზე რომ იყო და ამერიკელი მძღოლებისგან განსხვავებით მოლდოველებს კარგად სცოდნიათ, სად მიჰყავდათ სტუმრები.

სასტუმროებში (რამდენიმეში განთავსდნენ), მადლობა ღმერთს, ცხელი წყალი დახვედრიათ, ოღონდ ჩაის ფერი ჰქონია. ფარდები გამჭვირვალე, საწოლები ისეთი, მაწანწალათა თავშესაფარში რომაა. ყურთან ცარიელი მაცივრები ედგათ, ყოველ ოც წუთში რომ ხრიგინებდნენ.

პრეს-კონფერენცია დიდი, საბჭოური ყაიდის (?) მაგიდის ირგვლის გამართულა. ადგილობრივ ჟურნალისტებს ინგლისელთა მწვრთნელისთვის უკითხავთ, რას ფიქრობთ მოლდოვაზეო, რაზეც მას მიუგია:

— ჩვენ გვესმის, რომ თქვენი ქვეყანა პრობლემების წინაშე დგას და ფეხზე დასადგომად იღვწის, მაგრამ მოლდოვური სტუმართმასპინძლობა საუცხოო იყო.

ინგლისელ ჟურნალისტებს ადგილობრივ ბიზნესმენთაგან ისიც შეუტყვიათ, რომ მთელს მოლდოვას რუსეთი და ეროვნული მაფია აბრუნებს, ქალაქის დათვალიერებისას კი ყურადღება გაუთავებელ კორპუსებს მიუპყრია, რომელთაც აივნები ლამისაა მოსძვრეთ.

კიდევ, სტატიებში საუბარია ქამარში პისტოლეტგარჭობილ სასტუმროს მცველზე, მოლდოველი ახალგაზრდების მიერ ინგლისური მუსიკის ცოდნასა და იმაზე, თუ როგორ ჩახადა ახალგაზრდული ნაკრების მატჩის ცქერისას პოლ გესქოინმა თანაგუნდელ პოლ ინსს შორტი, რითაც ინსის უკანალის ფოტო საქვეყნოდ ცნობილი გახადა. მაშინ, როდესაც იმ სტადიონზე მინდორი უვარგისი იყო, გაცილებით უარესი, ვიდრე ჩინეთში.

### მთავარ მოედანზე კი

გლენ ჰოდლი მთელი ზაფხულის განმავლობაში ნაკრებში რევოლუციური ცვლილებების საწინააღმდეგო და ევოლუციური გზის სასარგებლოდ ლაპარაკობდა. არადა, პირველსავე მატჩში ფრიად სახეცვლილ გუნდი ათამაშა. ამის მიზეზი ერთი მხრივ მრავალრიცხოვანმა ტრავმებმა მისცეს, მაგრამ მწვრთნელს არც თავად დაუკლია. პოლიტიკის შეცვლა ალან შირერის კაპიტნად დანიშვნით დაიწყო. ინგლისელებს მოლდოველებთან მატჩში არ ჰყავდათ ტედი შერინგემი, სტივ მაკმანამანი, ტონი ადამსი და დარენ ანდერტონი. ჰოდლმა დევიდ ბექემი ათამაშა, არადა ვინმე კონსერვატორი მწვრთნელი დებიუტანტს ვერ ენდობოდა და ალბათ სტივ სტოუნს გაიყვანდა მოედანზე. თამამ ექსპერიმენტად მარცხენა ფრთაზე მეორე დებიუტანტის — ენდი ჰინჩკლიფის თამაში და მეტიუ ლე ტისიეს ნაკრებში დაბრუნებაც უნდა ჩაითვალოს. მთავარი ცვლილება კი ეგრეთწოდებული აწეული მცველების გამოჩენა გახლდათ, რისი გულისთვისაც ჰოდლი, წინასწარ, თვით წინამორბედმა ტერი ვენეიბლზმა გააკრიტიკა. საუბარია გარი ნევილისა და ზემოხსენებული ჰინჩკლიფისთვის იმ ფუნქციების დაკისრებაზე, რომელსაც ევროპის ჩემპიონატზე მაკმანამანი და ანდერტონი ასრულებდნენ.

სტუმრებმა ივნისიდან გამოყოლილი რიხით ითამაშეს. ჩანდა, რომ ინგლისმა, როგორც ძლიერმა გუნდმა, იცის თავისი შესაძლებლობანი და ნაღდს ხელიდან არ უშვებს. თამაში ისტორიულიც კი იყო. უპირველესად იმიტომ, რომ ამ ორი ქვეყნის ნაკრები პირველად შეხვდა ერთმანეთს, კიდევ ჰოდლის სამწვრთნელო და შირერის, როგორც კაპიტანის, დებიუტის გამო. უცნაურად მხოლოდ ის ჩანდა, რომ 20 ათასიან სტადიონზე 12 ათასი ადგილი ცარიელი იყო.

მაშ ასე, ინგლისმა საფრანგეთისკენ პირველი ნაბიჯი გადადგა. ჰოდლის 3-5-2-მა გაამართლა, თუმცა საყოველთაო აზრით ჯერ კიდევ დახვეწას მოითხოვს. მატჩის შემდეგ თავად მწვრთნელმაც აღნიშნა:

— ძლიერ კმაყოფილი ვარ, მაგრამ იმასაც ვხედავ, რა არის დასახვეწი. მორმეწონა შეტევათა სხარტი დაგვირგვინებები.

...სტუმრებმა ანგარიში 24-ე წუთზე გახსნეს და საგოლე კომბინაციაში ახალი ხელმძღვანელის ექსპერიმენტის ორივე ობიექტმა, ჰინჩკლიფმა და ნევილმა მიიღო მონაწილეობა. ჰინჩკლიფმა შირერის მიერ მეტოქის შეტევის ჩაშლის შემდეგ მიიღო ბურთი და ნევილს გადაუგდო, ნევილმა საჯარიმოში, მუხლის სიმაღლეზე ჩააწოდა, ხოლო ბარმბიმ ახლოდან დენის რომანენკოს კარი დალაშქრა. ეს „მიდლსბროს" თავდამსხმელის მესამე გოლი გახლდათ მეხუთე თამაში. პირველი ორი მან მაისში, აზიური ტურნეს დროს ჩინელებს გაუტანა.

თვალის დახამხამებაში ანგარიში გაიზარდა. საქმეში კვლავ ბარმბი იყო გარეული. ჯერ ინსმა ჩვეული სიმტკიცით ჩაშალა მოლდოველთა შეტევა, ბურთი ბარმბიმ მიიღო. სანამ ის გაგრძელებას ეძებდა, ინსი და გესქოინი საჯარიმოში შეიჭრნენ, ბარმბიმ ჩააწოდა, ინსმა ფეხი ასწია, მაგრამ ბურთმა გაზა ამჯობინა და ინგლისელთა ვარსკვლავმა თაურით მეორე შეაგდო.

მესამე გოლი მეორე ტაიმში სტუმართა კაპიტანმა გაიტანა. ეს შირერისთვის 29 შეხვედრაში მე-11 გოლი იყო. საუთგეიტისა და ნევილის ასისტენტობის შემდეგ მან ბურთი რომანენკოს გადაავლო.

შეხვედრის ბოლოს სტიუარტ პირსმა, საკუთარ საჯარიმოში, ტრადიციულად, საქმეს ხელი წააშველა და პენალტით დაისაჯა, მაგრამ ტესტიმიცანუმ ზედ ხარიხისა და ძელის გადაკვეთის ადგილს მიარტყა.

ერთ გოლს მოლდოვა ალბათ იმსახურებდა, მაგრამ...

### ახალგაზრდული ნაკრებები

**მოლდოვა 0:2 ინგლისი**

**მოლდოვა:** კირილოვი, გილჩა, სირესი, პლატონი, რუსნაკი, ლუპესკუ (სკრუპში 59), ბელანი (მალიუტა 85), ბურსუკი, სოლომუ, როგაჩოვი (ბარიშევი 74), ბარბაროსი
**ინგლისი:** დეი, ნიუტონი, პოტერი, დაბერი, სიმეჯა, თეტჩერი, ფორდი, ჰოლანდი, დაიერი, იდი (მური 70), ბოუიერი
**გოლი:** დაიერი (39), იდი (53)
**გაფრთხილება:** სირესი, იდი

ახალგაზრდათა შეხვედრაში მთავარი მოქმედი პირი ინგლისელთა მეკარე კრის დეი იყო. ახლა ცხადზე უცხადესია, რად იკლავს თავს „კრისტალ პალასი" მის „ტოტენჰემ ჰოთსპურიდან" გადასაბირებლად.

ოლეგ ბელანს, სერგეი როგაჩოვს, ეუგენ გილჩაკს, იულიან ბურსუკს და ვიაჩესლავ რუსნაკს მან დიდებული დარტყმები გაუუვნებელჰყო. დეი რომ არა, ინგლისელი ახალგაზრდები ევროპის პირველობის შესარჩევს სამი ქულით ვერ დაიწყებდნენ.

„კრისტალ პალასის" თავდამსხმელმა ბრუს დაიერმა კი პირველად საუცხოო შესაძლებლობა გაუშვა ხელიდან. შემდეგ, 37-ე წუთზე, მოვლენები ასე განვითარდა: დეიმ რუსლან ბარბაროსის დარტყმა მოიგერია და ბურთი მარცხნივ, ლი ბოუიერს მიუვიდა. ბოუიერმა ერთხანს გაგრძელება ვერ იპოვნა, მაგრამ უეცრად კარგი ჩაწოდების საშუალება გამონახა. ჩაკიდებულს დაიერი აუხტა და ანგარიში გახსნა.

მეორე ტაიმი რვა წუთის დაწყებული იყო, რომ სტუმრებმა ანგარიში გააორმაგეს. იდიმ დაახლოებით 20 მეტრიდან დაარტყა, მოლდოველთა მეკარემ კირილოვმა კი როგორღაც შეცდომის დაშვება მოახერხა.

**პაპუნა ქედია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| იტალია | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| პოლონეთი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| საქართველო | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| მოლდოვა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |

შემდეგი მატჩი:
5 ოქტომბერი. მოლდოვა — იტალია

### I ჯგუფი

**საბერძნეთი 3:0 ბოსნია**

**უზუნიდისი (42), აპოსტოლაკისი (77), ნიკოლაიდისი (83)**

ბოსნიელთათვის ეს შეხვედრა, რომელიც კალამატაში გაიმართა, ისტორიაში პირველი ოფიციალური მატჩი გახლდათ. რაც შეეხება ბერძნებს, მათთვის შესარჩევ ციკლში ეს უკვე მეორე გამარჯვებაა.

**სლოვენია 0:2 დანია**

**ნილსენი (78), ანდერსენი (83)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საბერძნეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 6 |
| დანია | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| ხორვატია | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| სლოვენია | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |
| ბოსნია | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |

შემდეგი მატჩები: 9 ოქტომბერი. ბოსნია — ხორვატია, დანია — საბერძნეთი

### III ჯგუფი

**უნგრეთი 1:0 ფინეთი**

**ოროში (16)**

უნგრელებს მე-14 წუთზე ჰქონდათ ანგარიშის გახსნის ჩინებული შესაძლებლობა: ტიბორ დომბიმ ლასლო კლაუზს მიაწოდა, მაგრამ მან რვა მეტრიდან კარში ვერ შეაგდო. ორი წუთის შემდეგ კი მართალია ფინელმა რამი ნეიმინენმა თავისი კარიდან ბურთი თავით გამოიტანა, მაგრამ ფერენც ოროშმა ყველას დაასწრო და ორიოდ მეტრიდან ძლიერი დარტყმით გაიტანა.

**აზერბაიჯანი 1:0 შვეიცარია**

**რზაევი (28)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნორვეგია | 1 | 1 | 0 | 0 | 5:0 | 3 |
| უნგრეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| აზერბაიჯანი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:5 | 3 |
| ფინეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| შვეიცარია | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |

შემდეგი მატჩი: 6 ოქტომბერი. ფინეთი — შვეიცარია

### IV ჯგუფი

**ავსტრია 0:0 შოტლანდია**

**ავსტრია:** კონსელი, შოპი, შიოტელი, ფეფერი, ფაიერზინგერი, მარასეკი, რამუში (ოგრიზი 76), კუჰბაუერი, პოლსტერი (საბიცერი 68), ჰერცოგი, ჰერაფი
**შოტლანდია:** გორამი, ბარლი, ბოიდი, კალდერვუდი, ჰენდრი, მაკკინლი, ფერგიუსონი, მაკკოლი, მაკკოისტი (დიური 76), მაკალისტერი, კოლინზი
**გაფრთხილება:** მაკალისტერი, ფერგიუსონი

შოტლანდიელებმა ვენის „ერნსტ ჰაპელის" სტადიონზე ფრეს მიაღწიეს, ქულა მოიპოვეს და ამით ფრიად კმაყოფილნი დარჩნენ. ავსტრიელთა მწვრთნელი, ჰერბერტ პროჰაზკა კი მთელი ზაფხულის განმავლობაში ამ მატჩისთვის საგანგებოდ ემზადებოდა, მის მოგებას აპირებდა და დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, მაგრამ საწადელს ვერ მიაღწია და გუნებაც გაუფუჭდა.

სტუმრებს ევრო 96-ის გუნდთან შედარებით ერთი ცვლილება ჰქონდათ — ნაკრების მაისური კვლავ ჩაიცვა დანკან ფერგიუსონმა, რომელიც თავდასხმაში ალი მაკკოისტის მარცხნივ მოქმედებდა. თამაშის დღემდე სათუო იყო კოლინ ჰენდრის ჯანმრთელობა, მაგრამ ვენის სტადიონზე, ბოლო ვარჯიშზე მცველი ტკივილს არ შეუწუხებია და კრეიგ ბრაუნმა ძირითად შემადგენლობაში მიუჩინა ადგილი. შოტლანდიელები მათი მწვრთნელის საყვარელი, 3-5-2 სქემით განლაგდნენ მოედანზე.

მასპინძლებმა, როგორც უმეტეს შემთხვევაში ხდება ხოლმე, პირველებმა შეუტიეს მეტოქის კარს. ენდი გორამი თავიდან „ჰამბურგის" განაპირა მცველმა მარკუს შოპმა ჩართო თამაშში, თუმცა იმ დარტყმას გამოცდილი შოტლანდიელი გოლკიპერი დიდად არ შეუწუხებია. შოპი იმ საღამოს დიტერ რამუშთან ერთად ხლართავდა კომბინაციებს და ეს არცთუ ურიგოდ გამოსდიოდა.

შემდეგ თამაში უფრო გამწვავდა. იყო 60 წამი, რომლის განმავლობაშიც ავსტრიელებმა ზედიზედ სამჯერ ჩააწოდეს კუთხური. პირველ და მეორე შემთხვევაში სტუმრებმა ახლო კუთხიდან ბურთი კვლავ ხაზს მიღმა მოიგერიეს, მესამედ კი ანტონ ფეფერმა 20-22 მეტრიდან ააცილა მიზანს.

როგორც იქნა, შოტლანდიელებმაც უპასუხეს. კრეიგ ბარლიმ კარგად ჩაჰკიდა, ავსტრიელთა მეკარე მიხაელ კონსელი გამოსვლისას შეცდა, მაგრამ მისდა ბედად საბოლოოდ ბურთის ჩაბღუჯვა მოახერხა, თორემ ფერგიუსონი ზურგსუკან ჰყავდა ჩასაფრებული.

ერთხელაც ფერგიუსონმა სირბილისას ბურთი მაკალისტერს დაუბრუნა. ალისთვის კარში დარტყმა ყველაზე უპრიანი იქნებოდა, მაგრამ მან მაკკოისტისთვის გადაწოდება მოისურვა და სახიფათო შეტევა ჩაშალა.

მეორე ტაიმში სტუმრები უფრო შემართულნი იყვნენ, ფერგიუსონი და მაკალისტერი კარგად ირჯებოდნენ, მაგრამ შედეგი არ მოჰყოლია. ავსტრიელებმა კი 68-ე წუთზე შეცვალეს ტონი პოლსტერი, კაცი, რომელიც 46 თამაშში 34 გოლით ავსტრიული ფეხბურთის რეკორდსმენს, ჰანს კრანკლსაა გატოლებული, მაგრამ მისთვის ჯერ ვერ უჯობნია.

მასპინძლებს კიდევ ერთი ნაღდი შესაძლებლობა ჰქონდათ, მაგრამ ანდრეას ჰერცოგმა 13 მეტრიდან [illegible] ხელიდან გაუშვა.

**ბელარუსი 1:0 ესტონეთი**

**მაკოვსკი (86)**

**ლატვია 1:2 შვედეთი**

**დალინი (18), ანდერსონი (21), რიმკუსი (56)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვედეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 7:2 | 6 |
| ბელარუსი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:5 | 3 |
| შოტლანდია | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ავსტრია | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ლატვია | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| ესტონეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |

შემდეგი მატჩები: 5 ოქტომბერი. ესტონეთი—ბელარუსი, ლატვია—შოტლანდია

### V ჯგუფი

**ისრაელი 2:1 ბულგარეთი**

**ბალაკოვი (3 პ), ჰარაზი (34), ბენინი (62 პ)**

**რუსეთი 4:0 კვიპროსი**

**ნიკიფოროვი (7, 50), კოლივანოვი (34), ბესჩასტნიხი (82)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 4:0 | 3 |
| ისრაელი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| ლუქსემბურგი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| ბულგარეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| კვიპროსი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:4 | 0 |

შემდეგი მატჩი: 8 ოქტომბერი. ლუქსემბურგი — ბულგარეთი

### VI ჯგუფი

**ფარერები 1:2 სლოვაკეთი**

**მორავჩიკი (13), მუელერი (60), დუბოვსკი (88)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუგოსლავია | 2 | 2 | 0 | 0 | 9:1 | 6 |
| სლოვაკეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| ესპანეთი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| ჩეხეთი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| ფარერები | 2 | 0 | 0 | 2 | 2:5 | 0 |
| მალტა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:6 | 0 |

შემდეგი მატჩი: 4 სექტემბერი. ფარერები — ესპანეთი

### VII ჯგუფი

**ბელგია 2:1 თურქეთი**

**დეგრიზი (13), ოლივეირა (38), იალჩინი (61)**

ბელგიამ მსოფლიოს პირველობის შესარჩევი ტურნირი სამი ქულით დაიწყო. პირველი ტაიმის შემდეგ ანგარიში 2:0 იყო. ეს სტადიონზე მისულ თურქ ქომაგებს არ ეჭაშნიკათ და პლასტმასის სკამების მტვრევა და ნატეხების მოედანზე სროლას მიჰყვეს ხელი. ბრიუსელის პოლიციას წესრიგის აღსადგენად 10 წუთი დასჭირდა.

61-ე წუთზე მეორე ტაიმში შესულმა სერგენ იალჩინმა ცოტა ხნით მოიგო თანამოძმეთა გულები, როდესაც საუცხოო დარტყმით მასპინძელთა გოლკიპერი ფილიპ დე ვილდე ხახამშრალი დასტოვა და სხვაობა შეამცირა, მაგრამ ორ წუთში ფურთხებისთვის მოედნიდან გააძევეს.

**უელსი 6:0 სან მარინო**

**უელსი:** საუთჰოლი (რობერტსი 71), ბოუენი, პემბრიჯი, ბრაუნინგი, მელვილი, ქოულმენი (ტეილორი 80), ჰორნი, რობინსონი (სპიდი 77), სონდერსი, ჰიუზი, გიგზი
**სან მარინო:** მუკიოლი, ვალენტინი, ჯენარი, გობი, გუერა, ლ. გასპერონი (მატეონი 66), ბაკიოჩი (ფრანჩინი 43), ბ. გასპერონი, მონტანია, მაცა (პაზოლინი 79), მანძაროლი
**გოლი:** სონდერსი (2, 75), ჰიუზი (25, 54), მელვილი (33), რობინსონი (45)
**გაფრთხილება:** გიგზი, მუკიოლი, ლ. გასპერონი, ბ. გასპერონი, მანძაროლი
**გაძევება:** მანძაროლი

რა შეიძლება ამ შეხვედრაზე ითქვას? ვგონებთ ექვსივე გოლის აღწერა უადგილოა — ვის რაში სჭირდება. რაში, სხვათა შორის, არ სჭირდება უელსელთა მწვრთნელს ბობ გოულდს, რომელიც უკვე მეორე თამაშია, ყველაზე სახელოვანი უელსელის გარეშე თამაშობს. ამრიგად ბრიტანელებმა სან მარინოს ივნისში 5:0 ხომ მოუგეს და ახლა ერთით მეტი მოახერხეს. კინაღამ რეკორდიც დამყარდა. მასპინძლებს ერთიც რომ შეეგდოთ, მათი საუკეთესო შედეგი იქნებოდა, ასე კი მხოლოდ სამი წლის წინანდელი ფარერებთან მიღწეული შედეგი გაიმეორეს.

სან მარინოს ამბავი კი ასეა. ამ ნაკრებს ბოლო 29 შეხვედრა არ მოუგია და მათში 120 გოლი გაუშვა. ისე, რად უნდა სთხოვო მეტი ქვეყანას, რომელიც, ასე, 30 კვადრატული კილომეტრია და თან მისმა საუკეთესო მოთამაშეებმა ცოტა ხნის წინ ფეხბურთს თავი დაანებეს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უელსი | 2 | 2 | 0 | 0 | 11:0 | 6 |
| ბელგია | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| ჰოლანდია | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| თურქეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| სან მარინო | 2 | 0 | 0 | 2 | 0:11 | 0 |

შემდეგი მატჩი: 5 ოქტომბერი. უელსი — ჰოლანდია

## VIII ჯგუფი

### ლიხტენშტაინი 0:5 ირლანდია

**ლიხტენშტაინი:** ჰეები, ჰეფტი, სტოკლასა, ჰილტი, ჰესლერი, ჰანსელმანი (ტელსერი 82), ქვადერერი, ზეხი, შალდერი (კლაუნცერი 78), ფრიკი, შენდლერი

**ირლანდია:** გივენი, ირვინი, ჰერტი, კენა, ბრინი, სტონტონი, თაუნსენდი (კასკარინო 83), ჰაფტონი, ქუინი, მაკლაფლინი, ონილი (მური 72)

**თაუნსენდი (2), ონილი (7), ქუინი (11, 61), ჰერტი (19)**

**გაფრთხილება:** სტოკლასა

ვადუცის ალპებით გარშემორტყმულ „სპორტ პარკ ეშენ-მაურენზე" ირლანდიელებმა ისტორიაში უდიდესი საგარეო გამარჯვება მოიპოვეს. არადა, მატჩის წინ საკუთარ ძალებში სრულიად დარწმუნებულნი როდი იყვნენ. ბრიტანელებს კარგად ახსოვდათ, რომ სწორედ აქ, ამ სტადიონზე, 1995 წლის ივნისში 0:0 ითამაშეს და შინ კუდამოძუებულნი დაბრუნდნენ. შაბათს კი დაიწყო თუ არა თამაში, სტუმრები მიხვდნენ, რომ მათი დღე იყო. 3 900 მაყურებლის თვალწინ სასტარტო სასტვენიდან წუთნახევრის შემდეგ ენდი თაუნსენმა ანგარიში გახსნა და საქმეც აეწყო. ირლანდიელთა მეკარე შეი გივენი მასპინძლებმა მთელი შეხვედრის მანძილზე სულ სამჯერ შეაწუხეს. ამ შეხვედრაში სტუმრებს აკლდათ „ლივერპულში" მოთამაშე ჯეისონ მაკატირი, რომელიც რაღაც მუცლის ვირუსით შეიქნა ავად.

### რუმინეთი 3:0 ლიტვა

**რუმინეთი:** პრუნია (გერასიმი 84), პეტრესკუ (პოპესკუ 80), პროდანი, სელიმეში, ლუპესკუ (სტინგა 81), პაპურა, ფილიპესკუ, გილჩა, მოლდოვანი, ილიე, მუნტეანუ

**ლიტვა:** სტაუჩე, ჟუკასი, გვილდისი (ზუტაუნასი 84), მიკნევიჩუსი (რაზანაუსკასი 64), ვაიონარესი (კირილოვასი 54), ბალტუშნიკასი, მაციულევიჩუსი, ტერეშკინასი, იანკაუსკასი, სკარბალიუსი, ზვიგილასი

**მოლდოვანი (21), პეტრესკუ (65), გილჩა (77)**

პარასკევს გეორგ ჰაჯიმ კუნთი გაიჭიმა და შესაბამისად თამაშს გამოაკლდა. მიუხედავად ლიდერის არყოფნისა, რუმინელებმა კარგად ითამაშეს და 21-ე წუთზე „სტიაუას" მოთამაშის ადრიან ილიეს კარგი პასით ვიორელ მოლდოვანმა ანგარიში გახსნა. ეს გოლი, ისევე როგორც მომდევნო, თავით გავიდა. ანგარიში „ჩელსის" დან პეტრესკუმ გაზარდა. მატჩის დამთავრებამდე 13 წუთით ადრე კი კონსტანტინ გილჩამ საჯარიმოს კიდიდან მძლავრი დარტყმით სხვაობა სამბურთიანი გახადა. აღსანიშნავია, რომ სტუმართა მეკარემ გინტარას სტაუჩემ დიდებულად ითამაშა და ანგარიში ასე თუ ისე ღირსეული დატოვა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მაკედონია | 2 | 1 | 1 | 0 | 4:1 | 4 |
| ირლანდია | 1 | 1 | 0 | 0 | 5:0 | 3 |
| რუმინეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| ისლანდია | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ლიტვა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |
| ლიხტენშტაინი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:8 | 0 |

შემდეგი მატჩი: 5 ოქტომბერი. ლიტვა — ისლანდია

## IX ჯგუფი

### სომხეთი 0:0 პორტუგალია

სომხეთი ის გუნდია, იოლად თავს რომ არავის დააჩაგვრინებს. ჩვენს მეზობლებს აქამდე ოფიციალური შეხვედრა დიდი ანგარიშით (სამბურთიანი სხვაობა) არ წაუგიათ. საკვირველი ერთიღაა: „რაზდანზე" 5 ათას გულშემატკივარზე მეტი რად არ მივიდა.

### ჩრდ. ირლანდია 0:1 უკრაინა

**ჩრდ. ირლანდია:** ფეტისი, გრიფინი (ონილი 52), როულენდი (მეჯილტონი 84), ჰილი, მოროუ, ლომასი, გილესპი, ლენონი, დაუი, გრეი, ჰიუზი

**უკრაინა:** შოვტოვსკი, ლუჟნი, სკრიპნიკი, გოლოვკო, ბეჟენარი (პარფიონოვი 69), პოპოვი, ორბუ, კალიტვინცევი (კირვენცოვი 73), მაქსიმოვი, ლეონენკო, ლუჩკევიჩი (რებროვი 46)

**რებროვი (79)**

**გაფრთხილება:** ონილი, ლომასი, ლეონენკო

ნათქვამი ყოფილა ასეთი, ირლანდიელს რას გაუგებო. ჩრდილოირლანდიელებმა შინ უკრაინასთან წააგეს და ჯგუფში, სადაც პორტუგალია და გერმანიაც არიან, სასტარტო მდგომარეობა გაიფუჭეს, მაგრამ არ დაგვავიწყდეს, რომ ეს ის გუნდია, რომელმაც ევროპის ჩემპიონატის შესარჩევში საკუთარ სტადიონზე ლატვიასთან წააგო და შემდეგ პორტუგალიაში ფრე ითამაშა. მეორე ტაიმში მასპინძლებს ორი მწვავე მომენტიც ჰქონდათ, მაგრამ ერთხელ შოვტოვსკიმ, მეორედ კი პოპოვმა საოცრად იხსნეს კარი. არც მათ თავდამსხმელს, მოედანზე მეორე ტაიმში შესულ რებროვს შეშლია რამე, როდესაც 79-ე წუთზე ვიქტორ სკრიპნიკის ჩაკიდული თაურით ალან ფეტისის კარის ბადეში გააზვია. მასპინძელთა კარნავალის მსახიობებივით გამოწყობილი ქომაგები სახლებში დაღვრემილნი წავიდნენ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უკრაინა | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| პორტუგალია | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| სომხეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| გერმანია | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| ალბანეთი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| ჩრდ. ირლანდია | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |

შემდეგი მატჩები: 5 ოქტომბერი. უკრაინა — პორტუგალია, ჩრდ. ირლანდია — სომხეთი

## სამხრეთი ამერიკა

### კოლუმბია 4:1 ჩილე

**კოლუმბია:** მონდრაგონი, სანტა, გალეანო, ბერმუდესი, მენდოსა, ლოზანო, ქუინონესი (ლოპესი), სერნა, ვალდერამა, ასპრილია (რამირესი), არისტიზაბალი (დე ავილა)

**ჩილე:** ტაპია, სიერა (როხასი), გონსალესი, მარგასი, მორა, მუსრი, ესტაი, რომერო, ვეგა, სამორანო, სალასი

**ასპრილია (3, 31, 47), ბერმუდესი (47), სამორანო (55 პ)**

კოლუმბიელთა მწვრთნელს ერნან დარიო გომესს ორი ფეხბურთელი — ფრედი რინკონი და ლეონელ ალვარესი დისკვალიფიცირებული ჰყავს, რამაც გუნდის გაწყობა აიძულა, მაგრამ ამან დიდი ანგარიშით გამარჯვებასა და ცხრილის სათავეში მოქცევაში ხელი ვერ შეუშალა. სამხრეთ ამერიკის შესარჩევი ჯგუფიდან, სადაც ცხრა გუნდი მონაწილეობს, საფრანგეთის საგზურს, მოგეხსენებათ, ოთხი მიიღებს. სწორედ აქეთკენ კიდევ ერთი ნაბიჯის გადადგმა კოლუმბიელებმა მესამე წუთზევე დაიწყეს, როდესაც ვეტერანმა კარლოს ვალდერამამ „ნიუკასლის" თავდამსხმელს ფაუსტინო ასპრილიას თაურზე „აუწია" და ასპრილიამაც არ შეარცხვინა. ინგლისში თამაშს დაჩვეულმა ფაუსტინომ 31-ე წუთზე მეორეც თავით გაიტანა. ამ ეპიზოდში მისი ასისტენტი ხოსე სანტა გახლდათ. ტაიმის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე ხორხე ბერმუდესმა — თუ თაურია, თაური იყოსო, აროლდ ლოზანოს პასით მესამე შეაგდო. მეორე ტაიმში კი ასპრილიამ ფეხიც გაავარჯიშა და დრიბლინგით ისეთი გოლი გაიტანა, თქვენი მოწონებული: ჩილელთა მთელ დაცვას ხომ პირი დაალებინა და ცაციით მეხივითაც გაისროლა. ეს შესარჩევ ტურნირში მისი მეხუთე გოლი იყო. რვა წუთში ალექსის მენდოსამ საკუთარ საჯარიმოში იუხეშა, მსაჯს პენალტიც დაანიშნინა და თავიც გააძევებინა. თერთმეტი მეტრიდან მილანის „ინტერის" თავდამსხმელმა ივან სამორანომ ჩილელთა ერთადერთი გოლი გაიტანა.

მატჩის შემდეგ კმაყოფილმა მწვრთნელმა გომესმა თქვა: — კოლუმბია ძლიერ დინამიურად თამაშობდა და შეტევაში დიდი ფანტაზიაც გამოავლინა.

### ეკვადორი 1:0 ვენესუელა

**ეკვადორი:** მორალესი, რივერა, ი. ურტადო, ტენორიო, კაპურო, დიასი (ობრეგონი 79), კარაბალი, აგუინაგა, გარსია (ფერნანდესი 46), სოუზა, ე. ურტადო

**ვენესუელა:** დუდამელი, ფილოსა, გონსალესი, ტორტოლერო, მაკინტოში, ს. ერნანდესი, ვალიენტე (ურდანეტა 40), ვერა, მირანდა, სოკორო (ლ. ერნანდესი), გარსია

**აგუინაგა (4)**

საფრანგეთს გამგზავრების კარგი შანსი აქვს ეკვადორსაც. ეს მესამე გამარჯვება გახლდათ. მართალია, სამხრეთ ამერიკის უსუსტეს გუნდთან 1:0-ზე მეტი ვერ მოიგო, მაგრამ ალბათ კოლუმბიელი ფრანსისკო მატურანასთვის, რომელიც ახლა [illegible] ლებს [illegible], ისიც საკმარისი [illegible] სასიხარულოა, რომ ეკვადორი და ვენესუელა აქამდე მსოფლიოს პირველობის მატჩებში ერთმანეთს არასდროს შეხვედრიან.

45 ათასი ქომაგის ხმაურში მასპინძლებმა მე-4 წუთზე გახსნეს ანგარიში. ბრაზილიური წარმოშობის ქილსონ დე სოუზას დარტყმულს კაპიტანმა ალექს აგუინაგამ ზუსტად დაამატა, მაგრამ მისმა გუნდმა მეტი ველარ შეძლო.

### ბოლივია 0:0 პერუ

**ბოლივია:** ტრუკო, რიმბა, ო. სანჩესი, პენია, სანდი, ი. კასტილიო, ბალდივიესო, ეჩევერი, ე. სანჩესი (პანიაგუა 85), რ. კასტილიო, კოიმბრა (მორენო 65)

**პერუ:** ბალერიო, მარენგო, რეინოსო, ოლივარესი, სერანო (ჟულინიო 47), ხოსე სოტო, იაო, სეგარა, პერედა, პალასიოსი (ხორხე სოტო 81), მაესტრი (კარტი 80)

ანგარიშის მიუხედავად თამაში სასეირო და უხვმომენტიანი გამოდგა. 3 600 მეტრზე ზღვის დონიდან ყველას უჭირს. ამიტომაცაა, რომ ბოლივიელებს ლა პასის „ერნანდო სილასის" სტადიონზე მსოფლიოს ჩემპიონატების ზედიზედ შვიდი შეხვედრა ჰქონდათ მოგებული. მსხვერპლთა შორის იყო თვით ბრაზილია, რომელიც „სუფთა ჰაერზე" 1993 წელს 0:3 დამარცხდა.

პერუელებმა ყველაფერი კარგად იცოდნენ და თამაშამდე მთელი კვირა მთებში გაატარეს, იქ ვარჯიშობდნენ. ამან გამოიღო კიდეც ნაყოფი. ორივე გუნდს მრავლად ჰქონდა შესაძლებლობანი. მასპინძლებმა ოსკარ სანჩესმა და მარკო ეჩევერიმ თითოჯერ ხარიხას მოარტყეს. ვალში არც პერუელები დარჩნენ და კონტრშეტევაში სამი სანატრელი მომენტი შექმნეს, მაგრამ ვერ გამოიყენეს.

### არგენტინა 1:1 პარაგვაი

**ბატისტუტა (26), შილავერი (42)**

საწყალი ხერმან ბურხოსი. ის „რივერ პლეიტის" კარს იცავს, ყოველ შემთხვევაში, ცდილობს დაიცვას, მაგრამ როცა საქმეში მისი კოლეგა, „ველეზ სარსფილდის" მეკარე, პარაგვაელი ხოსე ლუის შილავერი ერევა, საქმე ცუდად მიუდის. არგენტინის პირველობაზე შილავერმა 60 მეტრიდან დაურტყა კოლეგას და გაუტანა. ასევე იყო კვირასაც, როდესაც მეკარეები ერთმანეთს ნაკრებების დონეზე შეხვდნენ.

— ბურხოსი უნიჭოა. თუ საშუალება მომეცა, გავუტან და ჩემს ქვეყანას ამ უმნიშვნელოვანეს შეხვედრაში დავეხმარები. ძალიან მინდა არგენტინას გავუტანო. — ამბობდა მატჩის წინ შილავერი.

მისი სიტყვა და საქმე ერთია. 42-ე წუთზე მეტოქის კართან ჯარიმა რომ დაინიშნა, შილავერი გავარდა, დაარტყა და შეაგდო.

მანამდე არგენტინა 1:0-ს იგებდა. გაბრიელ ბატისტუტამ 26-ე წუთზე ნაკრებში თავისი 35-ე გოლი გაიტანა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოლუმბია | 4 | 3 | 1 | 0 | 9:3 | 10 |
| ეკვადორი | 4 | 3 | 0 | 1 | 8:5 | 9 |
| არგენტინა | 4 | 1 | 2 | 1 | 4:4 | 5 |
| ბოლივია | 3 | 1 | 1 | 1 | 7:4 | 4 |
| პარაგვაი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:2 | 4 |
| ჩილე | 3 | 1 | 1 | 1 | 6:6 | 4 |
| ურუგვაი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:5 | 3 |
| პერუ | 4 | 0 | 3 | 1 | 2:5 | 3 |
| ვენესუელა | 4 | 0 | 1 | 3 | 2:10 | 1 |

## კონკაკაფის ზონა

### I ჯგუფი

ტრინიდადი 0:1 კოსტა რიკა

### II ჯგუფი

კანადა 3:1 პანამა

## ინგლისი

### პირველი დივიზიონი

**მე-4 ტური:** ბრედფორდი — ტრანმერი 1:0, გრიმსბი — პორტსმუთი 0:1, ჰადერსფილდი — კრისტალ პალასი 1:1, ნორვიჩი — ვულვერჰემპტონი 1:0, ოლდემი — იფსვიჩი 3:3, პორტ ვეილი — ოქსფორდი 2:0, რედინგი — სტოკ სიტი 2:2, საუთენდი — სვინდონი 1:3, ქუინზ პარკი — ბოლტონი 1:2

„მანჩესტერ სიტის" თითქოს კეთრი სჭირსო, ამ გუნდის მწვრთნელობაზე შეთქმულებივით ყველა უარს ამბობს. როგორც გაუწყეთ, ჯორჯ გრემმა „გმადლობთ, არ მინდა" შეუთვალა ფრენსის ლის, რომელსაც ეს პასუხი დღემდე ვერ მოუნელებია. ფიქრობდნენ, 35 წლის სტივ მაკმაჰონი მაინც დათანხმდებაო, მაგრამ იგი „სვინდონში" მუშაობს და თავს მშვენივრად გრძნობს. ის კი არა, მანჩესტერელებს პასუხად მიუგო, სვინდონში კიდევ ორწლიან კონტრაქტს უნდა მოვაწერო ხელიო. ვის, ვის და „კრისტალ პალასის" მწვრთნელს დეივ ბეზეტს უცნენ, მაგრამ ის ჩრდილო ინგლისში ცხოვრებას შეეჩვია, ადრე „შეფილდ იუნაიტედს" ხელმძღვანელობდა, სახლი ეხლაც შეფილდში აქვს და აქედან ძვრასაც არ აპირებს. საუბარია ჰოვარდ კენდალზეც, რომელიც ხუთი წლის და სამი მწვრთნელის წინ ედგა „სიტის" სათავეში, ახლა კი „შეფილდ იუნაიტედშია". მან ეს გუნდი პირველი დივიზიონის მაჩანჩალობიდან მეცხრე ადგილამდე აიყვანა. ახლა საკითხავია, მოერევა კენდალს მანჩესტერის ნოსტალგია თუ შეფილდში დარჩენას ამჯობინებს.

„სიტი" მე-4 ტურის მატჩს დღეს ითამაშებს.

## ესპანეთი

პირველი ტური

**ბეტისი — ატლეტიკი 3:0**

1:0 ფინიდი (14), 2:0 რიოსი (45), 3:0 საბასი (85)

**ატლეტიკო — სელტა 2:0**

1:0 ესნაიდერი (46), 2:0 კიკო (49)

**სანტანდერი — ვალენსია 3:2**

0:1 ვლაოვიჩი (33), 0:2 რომარიო (41), 1:2 ფერეირა (45, საჯ. კარში), 2:2 ალვარო (47), 3:2 ხალასარი (80)

**სოსიედადი — სევილია 1:0**

1:0 იმასი (34)

**ვალეკანო — ვალიადოლიდი 1:2**

0:1 პეტერნაჩი (50), 0:2 მანუელი (67), 1:2 კლიმოვიჩი (90)

**ერკულესი — ესტრემადურა 2:1**

1:0 ალფარო (29 პ), 2:0 პავლიჩიჩი (81), 2:1 ტირადო (84 პ)

**სარაგოსა — ლოგრონიესი 2:2**

1:0 პოიეტი (20), 2:0 პოიეტი (49), 2:1 მარტინესი (56), 2:2 მარტინესი (85)

**ოვიედო — ბარსელონა 2:4**

0:1 სტოიჩკოვი (47), 0:2 სტოიჩკოვი (50), 1:2 ალვარესი (67), 1:3 ლუის ენრიკე (76), 2:3 ტონი (86), 2:4 ლუის ენრიკე (89)

**ტენერიფე — კომპოსტელა 6:0**

1:0 იოკანოვიჩი (12), 2:0 პინილია (19), 3:0 როხასი (32), 4:0 კრუზადო (69), 5:0 ნევილი (81), 6:0 ხუანელე (84)

**დეპორტივო — რეალი 1:1**

1:0 მარტენსი (22), 1:1 რობერტო კარლოსი (79)


# სარბიელი

## სპორტული ლატარეა

## "CROCO"

**ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა.** მეოთხე ტური

3 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| არსენალი — ჩელსი | 1,6 | 2,8 | 3,2 |
| ბლექბერნი — ლიდსი | 1,6 | 2,8 | 3,2 |
| სანდერლენდი — ნიუკასლი | 2,7 | 2,7 | 1,8 |
| უიმბლდონი — ტოტენჰემი | 2,5 | 2,5 | 2,0 |
| **4 სექტემბერი** | | | |
| ქოვენთრი — ლივერპული | 2,7 | 2,7 | 1,8 |
| დერბი ქაუნთი — მანჩესტერ იუნაიტედი | 3,2 | 2,8 | 1,6 |
| ევერტონი — ასტონ ვილა | 1,5 | 2,7 | 4,0 |
| მიდლსბრო — ვესტ ჰემი | 1,4 | 2,8 | 4,4 |
| საუთჰემპტონი — ნოტინგემი | 1,8 | 2,7 | 2,7 |

**საფრანგეთის ჩემპიონატი.** მეხუთე ტური

3 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| მონაკო — ლანსი | 1,6 | 2,8 | 3,2 |
| მონპელიე — პარი სენ-ჟერმენი | 2,5 | 2,5 | 2,0 |
| ნანტი — ლიონი | 1,5 | 2,8 | 3,8 |
| სტრასბური — ოსერი | 2,5 | 2,5 | 2,0 |
| გინგამი — კანი | 1,5 | 2,8 | 3,8 |
| ბორდო — ბასტია | 1,4 | 2,8 | 4,4 |
| ლილი — ნიცა | 1,6 | 2,6 | 3,6 |
| კაენი — მეცი | 2,0 | 2,5 | 2,5 |
| მარსელი — რენი | 1,3 | 2,8 | 5,6 |
| ნანსი — ლე ავრი | 1,8 | 2,7 | 2,7 |

**ავსტრიის ჩემპიონატი.** მეოთხე ტური

4 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ავსტრია — ლინცერ ასკ | 1,5 | 3,1 | 7,0 |
| შტურმი — გრაცერი | 2,0 | 2,5 | 2,5 |
| ლინცი — ადმირა | 1,7 | 2,8 | 2,9 |
| რიედი — რაპიდი | 4,0 | 3,0 | 1,4 |
| ზალცბურგი — ტიროლი | 1,6 | 2,6 | 3,6 |

**შვეიცარიის ჩემპიონატი.** მეათე ტური

4 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბაზელი — ლოზანა | 1,7 | 2,8 | 2,9 |
| იანგ ბოიზი — ციურიხი | 2,5 | 2,5 | 2,0 |
| სენტ გალენი — არაუ | 1,6 | 2,8 | 3,2 |
| სერვეტი — ლუგანო | 1,3 | 2,8 | 5,6 |
| სიონი — ლუცერნი | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| გრასჰოპერი — ქსამაქსი | 1,5 | 2,8 | 3,8 |

**მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი**

4 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ფარერები — ესპანეთი | 9,0 | 3,6 | 1,05 |
| 3:0 | 2,0 | 3,4 | 2,0 |

**ამხანაგური მატჩი**

4 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| პოლონეთი — გერმანია | 4,0 | 3,0 | 1,4 |

ტურში გატანილი გოლების რაოდენობა (უმაღლესი ჯგუფები)
ინგლისი. 24 და ნაკლები — 1,9; 26 და მეტი — 1,9
საფრანგეთი. 22 და ნაკლები — 1,9; 24 და მეტი — 1,9

ფსონების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათის და ხუთშაბათის გარდა კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე

## CROCO-2

### ტირაჟი №60

### პრემიერლიგა

1. არსენალი — ჩელსი
2. ბლექბერნი — ლიდსი
3. სანდერლენდი — ნიუკასლი
4. უიმბლდონი — ტოტენჰემი
5. ქოვენთრი — ლივერპული
6. დერბი ქაუნთი — მანჩესტერი
7. ევერტონი — ასტონ ვილა
8. საუთჰემპტონი — ნოტინგემი

მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ტირაჟში მოცემული 8 მატჩის მხოლოდ ძირითადი დროის შედეგი. მოგებულად ჩაითვლება ბილეთი, რომელშიც გამოცნობილია 8 მატჩის შედეგი. მინიმალური მოგება 50 ლარია, მაქსიმალური კი — 1000 ლარი. ერთ ბილეთში შევსებული ვარიანტების რაოდენობა შეზღუდული არ არის. თუ ტირაჟში შეტანილი რომელიმე მატჩი არ ჩატარდა, ჩაიშალა ან შეიცვალა მოედანი, ტირაჟი გაუქმებულად ცხადდება და მოთამაშეებს თანხა უბრუნდებათ.

ერთი ვარიანტის ღირებულება 1 ლარი.

მოგების ფონდს ემატება JACK POT

# როცა ყველას წყალში გადასახტომად აქვს საქმე

ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს წარგზავნილთა ცუდი გამოსვლის მერე, რა თქმა უნდა, საოხუნჯოდ არა გვაქვს საქმე, მაგრამ როცა ამ თემაზე საუბრობენ, ხუმრობენ, რა საჭირო იყო ატლანტაში 36 სპორტსმენის წაყვანა. განა არ სჯობდა, ერთი კარგი ტანმოვარჯიშე აღგვეზარდა და იგი მთელი გუნდის გასაკეთებელ საქმეს გაგვიკეთებდა, როცა ქქვს მედალს მოიპოვებდა.

## განა ეს ფანტაზიაა?

ამ ხუმრობაში არის სიმართლის მარცვალი და მარცვალზე მეტიც. გავიხსენოთ ალექსეი ნემოვი. ამ ერთმა რუსმა ატლანტაში ორი ოქროს, ერთი ვერცხლის და სამი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. გავიხსენოთ რუმინელი სიმონა ამანარიც, ვინც თითო „ოქრო“ და ორიც „ბრინჯაო“ დაიმსახურა, ან ბელარუსი ვიტალი შჩერბა, ატლანტიდან ოთხი „ბრინჯაოს“ მედლით რომ დაბრუნდა, ბარსელონაში კი სულაც ექვსგზის ჩემპიონი გახდა.

დავეხსნათ ტანმოვარჯიშეებს და მივადგეთ ჩვენი დღევანდელი წერილის მთავარ თემას — ცურვას, მოცურავეებსა და იმათ, ვინც საერთოდ აუზშია. ერთი კარგი მოცურავე ერთ კარგ ტანმოვარჯიშეზე ნაკლებად არ აგვაშენებდა ატლანტაში. იქ ერთი ასეთი ირლანდიელი მოცურავე ქალი, მიშელ სმითი, სამგზის ჩემპიონი გახდა — სამივეჯერ სხვათა დაუხმარებლად — ინდივიდუალურ სახეობებში.

ახლა ფენომენალური მოცურავე მარკ სპიცი გავიხსენოთ, ცხრაგზის ოლიმპიური ჩემპიონი, აქედან შვიდი ოქრო ერთ თამაშებში (მიუნხენში) რომ მოუპოვებია.

ისე, ერთ კარგ მოცურავეს რვა სჯობს. მაშინ ჩვენც გვეყოლება ერთი მარკ სპიცი, კიდევ შვიდი ჯონი ვაისმიულერი, მეტ ბიონდი და სხვა ვარსკვლავები...

ფანტაზიაა?

არა გვგონია! ჩვენ ხომ რეალურ ფაქტებზე ვსაუბრობთ და ვიხსენებთ რეალურ პიროვნებებს, ვინც ფანტაზია სინამდვილედ აქციეს.

ახლა ვნახოთ ჩვენს „წყალში“ რა მდგომარეობაა.

## სტრატეგიული სახეობა — არასტრატეგიულთა ნუსხაში

თავის დროზე იმ ორგანიზაციამ, დღეს რომ სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი ჰქვია, მაგრამ არ გვახსოვს მაშინ რა ერქვა (მას იმდენჯერ გამოუცვალეს სახელი და სტატუსი, რომ ყველას ტარაბუა დაეხვა და მგონი ახლა იგივეს უპირებენ), სპორტის სახეობები დაახარისხა სტრატეგიულ და არასტრატეგიულ სახეობებად. ყველაფერი, რაც წყალში იყო, მოხვდა არასტრატეგიულ სფეროში (რაც შესაბამისად ნაკლებ ყურადღებას და ზრუნვას იმსახურებს, შესაბამისად — ნაკლებ ფინანსურ დახმარებასაც).

ჩვენი აზრით, ამგვარი დაყოფა საჭირო და აუცილებელიც იყო, რადგან საქართველო და მასზე ყოველმხრივ დიდი ქვეყანაც კი სპორტის ყველა სახეობას ვერ მიხედავს და უპატრონებს.

მაგრამ ჩვენი დღევანდელი წერილის შესავლის მერე რამდენად სამართლიანი იყო სპორტის, გნებავთ სხვა განზომილებით ისეთი სტრატეგიული სახეობის, როგორიც ცურვა, და საერთოდ წყალში მყოფი სახეობების არასტრატეგიულში გადასროლა? სამართლიანობისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ეს იძულებითი ნაბიჯი გახლდათ, რაკილა წყალში, ფაქტობრივად, არცერთი სახეობა აღარ დაგვრჩა იმ „უბრალო“ მიზეზით, რომ იქ მყოფნი ფსკერზე აღმოჩნდნენ. აღმოჩნდნენ პირდაპირი მნიშვნელობით, რაკილა აუზებში წყალი დავკარგეთ.

ენერგოკრიზისის გამო თბილი წყალი დავკარგეთ. აუზში ცივი წყალი გინდ გქონია, გინდ არა (ახლა ტელევიზიით ხშირ-ხშირად მიგვანიშნებენ, დასალევად ესეც აღარ გვექნებათო).

ყოველივე ამის გამო ჩვენმა წყალში მხტომელებმა ნანა ყაზარაშვილმა და გოჩა გახარიამ ოლიმპიურ თამაშებზე რომ შესაბამისად XXVII და XXXIV ადგილები დაიკავეს, ამაში მოულოდნელი, რაღა თქმა უნდა, არაფერი ყოფილა.

საკვირველი ის არის, რომ ყაზარაშვილმა და გახარიამ საერთოდ ატლანტის ლიცენზიები მოიპოვეს. უფრო საოცარი ის არის, რომ ჩვენმა წყალში მხტომელებმა ოლიმპიადაზე რამდენიმეს აჯობეს და ბოლო ადგილებზე არ აღმოჩნდნენ.

რაღა თქმა უნდა, ამით ყაზარაშვილისა და გახარიას შესაძლებლობებს სრულიადაც არ ვაკნინებთ, პირიქით — იმ პირობებში, რაც მათ ჰქონდათ, უკეთესის იმედი არც გვქონდა და არც უნდა გვქონოდა. აბა, რა იმედი უნდა გვქონოდა გოჩასი, რომელმაც თავისი საყვარელი სახეობა უწყლობის გამო ჯერ კიდევ მაშინ მიატოვა, როცა პერსპექტიულ, იმედისმომცემ წყალში მხტომელად ითვლებოდა. იგი ტრამპლინს მაშინ დაუბრუნდა, როცა ოლიმპიადამდე თვეებიღა იყო დარჩენილი. ოღონდ, გახარიამ ის ტრამპლინი საქართველოში კი არ აღმოაჩინა, არამედ რუსეთში.

ან რა იმედი უნდა გვქონოდა ნანასი, ვინც სამადლოდ რუსეთში, გერმანიასა და ამერიკაში დადიოდა სავარჯიშოდ?

მეტი რაღა უნდოდაო, იფიქრებს ალბათ მკითხველი, მაგრამ ქვეყნიდან ქვეყანაში გადასვლისას იყო უწყლო თბილისში დაბრუნება, პაუზები, ვარჯიშის ჩავარდნები, ძებნა კეთილი ხალხისა, ვინც უცხო მიწაზე ბინაზე შეიკედლებდა, სამოწყალოდ აჭმევდა, ასმევდა და აუზსაც გამოუძებნიდა. იყო სერიოზული, ხერხემლის ტრავმაც, რომელიც შესაძლოა არ ყოფილიყო, ან არ გართულებოდა, თბილისში რომ ევარჯიშა და ამ ბავშვს მწვრთნელთან ერთად, ჩვეულებისამებრ, ექიმიც ჰყოლოდა, დედაც, მამაც...

ამ ტრავმის გამო საერთოდ სათუო გახდა ყაზარაშვილის ოლიმპიადაზე გამგზავრება.

ახლა ეს ყველაფერი ისტორიაა, წარსულია.

მაგრამ როგორი მომავალი გვაქვს?

ცუდი!

ცუდი, რადგან აწმყოში კარგა ხნით საიმედო არაფერი ჩანს.

## ზურგზე ორმომოკიდებული კაცი

წყალში აღარავინ დაგვრჩა. მწვრთნელებმაც თავს [illegible] უშველეს. კარგა ხანია გაგვექცა იური [illegible] — საქართველოს წყალში მხტომელთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი, თბილისში დაბადებული და აღზრდილი კაცი, თავის დროზე ძლივს რომ დავაბრუნეთ და მერე სპორტის ამ სახეობაში მოპოვებული სულ უფრო და უფრო მეტი წარმატებები სწორედ მის სახელს დაუკავშირდა. კიდევ ბევრი „სველი“ მწვრთნელი ამოვიდა მშრალზე — ზოგს ბაზრობაზე ნახავთ დახლთან, ზოგს სოფელში თოხით ხელში, ზოგიც ისევ „დასველდა“, ოღონდ — უცხოეთში.

თუმცა, ჩვენსავე აუზს ერთი ჩვენივე კარგი მწვრთნელიც დაუბრუნდა — ალექსანდრე ბართაია, ერთ დროს გუტიაკულოვთან ხელიხელჩაკიდებული რომ ოფლს ღვრიდა, მერე კი უწყლოდ და პრაქტიკულად უხელფასოდ დარჩენილმა სოფლის მეურნეობას მიჰყო ხელი და ამით ოჯახიც დააპურა და სხვა ახლობლებიც.

— მაგრამ ამ კაცს გულმა არ მოუთმინა — გვიამბობს საქართველოს სპორტის საწყლოსნო სახეობათა ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი გივი ცქიტიშვილი. — ჩემი პროფესიის გარეშე მოსვენება დავკარგეო, შემოგვჩივლა და მუშაობა დაიწყო. 6-7 წლის ბავშვები მოძებნა, შეარჩია და აღარ შორდება.

— კი მაგრამ, ამ უწყლო აუზებში სად ავარჯიშებს? — ალბათ ჩვენსავით შეიცხადებს მკითხველი.

საქმეც ეგ არის, რომ ალექსანდრე ბართაიას სჯერა, მალე წყალი გვექნებაო. არ გვინდა ამ უწყლოდ დარჩენილი მწვრთნელისა და მისი შეგირდების რწმენას ცივი წყალი გადავასხათ. ნურც თქვენ იზამთ ამას — დე, იწამონ, რომ ასე იქნება. ბოლოსდაბოლოს, იმედით ცოცხლობს ადამიანი.

მანამდე კი ბართაიამ ვაკის საცურაო აუზის დარბაზი დაასუფთავა, დაალაგა, ინვენტარი მოაწესრიგა და იმ ბავშვებს მშრალზე ახტუნავებს — ორმოში ჩაყრილ კაუჩუკზე და ისინიც ბზრიალ-ბზრიალით ეშვებიან წყალში, უკაცრავად — ორმოში. ეს ბავშვები ბატუტზეც დიდი ხალისიც ვარჯიშობენ. ვარჯიშობენ ყველაფერში, რაც წყალში მხტომელთათვის დამხმარე ვარჯიშებია.

— ერთ მშვენიერ დღეს მართლაც რომ წყალი ჩაუსხან ამ ბავშვებს, ჰაერში ბზრიალ-ბზრიალით შიგ ისარივით რომ ჩაეშვან, მერე ხომ ვეღარაფერი უშველით დამხვრჩლებს? — იკითხავს მკითხველი და ჩვენც ამას ვეკითხებით გივი ცქიტიშვილს.

— ბართაია ამ ბავშვებს „ვერეს“ საწყლოსნო კომპლექსში საჭყუმპალაოში ასწავლის ცურვას, წყალში სახტომი აუზი კი იქ ვერ თბება. ამ ზაფხულს ბართაიამ ეს ბავშვები ორი თვით სიონში წაიყვანა, თან ორი ბატუტი და ტრამპლინი წაიღო. ის „ორმოც“ ზურგზე მოიკიდა. თავიდან, როცა ამგვარ გეგმებზე მესაუბრებოდა, ვიფიქრე, ყველაფერი ფანტაზიაა-მეთქი, მაგრამ იმდენი მიჩიჩინა, რომ ამ საქმეში ჩამითრია და ამიყოლია. ახლა არ ვნანობ, მაგრამ თუ ვარჯიშის პირობები დროზე არ გაუმჯობესდა, ყველაფერს დავკარგავთ. დღეს ერთი-ორი მწვრთნელი მაინც შემოგვრჩა, ბავშვებიც და ის ორიოდე სპორტსმენიც, ვისგანაც ამ ბავშვებმა რაღაც უნდა ისწავლონ. ბოლოსდაბოლოს, ამ ბავშვებმა საკუთარი თვალით ხომ უნდა ნახონ, რა არის წყალში ხტომა, როგორ უნდა გადმოხტეს სპორტსმენი კოშკიდან, თუნდაც 3-მეტრიანი ტრამპლიდან. როცა იქიდან გადმომხტომი სპორტსმენიც აღარ გვეყოლება, ფსკერიდან ამოტივტივებას ოთხი და ხუთი წელი აღარ ეყოფა.

— მაგრამ ცურვასა და სინქრონულ ცურვას ხომ კოშკ-ტრამპლინები არ სჭირდება?

— კი ბატონო, მაგრამ თბილი წყალი რომ საჭიროა? — კითხვას გვიბრუნებს გივი ცქიტიშვილი და აგრძელებს — „ვერეს“ საწყლოსნო კომპლექსში ზამთრობით თბილ წყალს მხოლოდ დახურულ საჭყუმპალაოში ინარჩუნებენ. იმ მუხლებამდე წყალში მოცურავეს ვერ გაზრდი. აქ მისი ცურვა აუზის ფსკერზე ხელებით სიარულს ჰგავს. ღია საჭყუმპალაო მასზე ღრმაა და ზაფხულობით საქართველოს ნაკრების მოცურავეებიც იქ ვარჯიშობენ.

— მერედა გვყავს ნაკრები ან ნაკრების უფროსი მწვრთნელი?

— ორივე ქაღალდზე არსებობს. თუმცა, არიან თითზე ჩამოსათვლელი მოცურავეები, რომლებსაც თუ ვარჯიშის პირობები ექნებათ, ალბათ რაღაცას მიაღწევენ. ისინი, ოთხ-ოთხნი, იზმირში იუნიორთა საერთაშორისო შეჯიბრებაზე გამოვიყვანეთ და სტამბულში გამართულ „მსოფლიოს ბავშვთა შეხვედრაზე“. ჩვენმა ბავშვებმა XIII-XIV ადგილები დაიკავეს. ეს, რა თქმა უნდა, თავმოსაწონებელი არ არის, მაგრამ, თუ ზემოთქმულს გავითვალისწინებთ, მაშინ...

უარესადაა საქმე სინქრონულ ცურვაში. გახსოვთ, როგორი წარმატებები გვქონდა ამ სახეობაში? ევროპის ჩემპიონიც გვყავდა, იუნიორთა შორის კონტინენტის პირველობაზე გამარჯვებულიც. ისინი დღითიდღე იზრდებოდნენ, მაგრამ ახლა ის სპორტსმენებიც კარგა ხანია დავკარგეთ და მწვრთნელებიც. მოცურავეს თუ საჭყუმპალაოში ვერ გავზრდით, მით უფრო წარმოუდგენელია იქ სინქრონულ ცურვაში დაოსტატება კი არა, ელემენტარული ვარჯიშების შესრულება. მეტიც, ამ სახეობის მიმდევარს მოცურავეთა ყველა აუზიც კი არ აკმაყოფილებს. მას გაცილებით ღრმა აუზი სჭირდება. ასეთი მოქმედი აუზი კი დღეს არა გვაქვს.

— კი მაგრამ, „ბურევესტნიკის“ აუზი ხომ მუშაობს?

— ასეთი შეფერხებით სხვა აუზიც მუშაობს. მოცურავეები კარდაკარ დადიან და ხან ერთი აუზის კარი ხვდებათ გამოკეტილი, ხან მეორისა. ხშირად კი არცერთი აუზი არ მუშაობს, არც — მეორე. აი, ახლა ვაკის საცურაო აუზის იმედად ვართ. ეს აუზი, 1993 წლის თებერვლიდან რომ აღარ მუშაობს, სააქციო საზოგადოება „დელფინმა“ შეისყიდა. საზოგადოების თავმჯდომარე წარსულში თბილისის „დინამოს“ ერთ-ერთი საუკეთესო წყალბურთელი, მერე ამავე გუნდის უფროსი მწვრთნელი ირაკლი ჩხიკვაძეა. აუზის დირექტორიც ასევე წყალბურთელი, ირაკლი ჩხიკვაძესთან მოთამაშე და მერე მასთან ერთად მწვრთნელად მომუშავე ბორის მეგედია. მათ ამ ზაფხულს აუზის რემონტი დაიწყეს. მათ გამოცვალეს წლობით დაჟანგული და გავერანებული მილები, აღადგინეს საბოილერო, შიდა კოსმეტიკური სამუშაოებიც მოათავეს და ახლა გარედან გარემონტებას აპირებენ. ირაკლი ჩხიკვაძე დაგვპირდა, ეს აუზი სექტემბრიდან მოგემსახურებათო.

## „დელფინმა“ ცივი წყალი გადაგვასხა

ამ ამბით გახარებულნი და გაკვირვებულნიც უმალ „დელფინს“ მივადექით. გივი ცქიტიშვილის ნაამბობი მართალი აღმოჩნდა, მაგრამ ირაკლი ჩხიკვაძემ ცივი წყალი გადაგვასხა.

— მართლაც გვეგონა, რომ აუზს სექტემბერში ავამუშავებდით, — გვიამბობს ირაკლი ჩხიკვაძე. — საამისოდ საქვაბის აშენება და ქვაბების შეძენაღა იყო საჭირო, მაგრამ ჯერჯერობით ამას ვეღარ ვახერხებთ. იყო ერთი ბანკი, რომელიც ქვაბების შესაძენად 30 000 ლარს სესხად მისაღები საპროცენტო განაკვეთებით დაგვპირდა. დაგვპირდა, მაგრამ სიტყვას ვეღარ ასრულებს მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. მაგრამ იმედი გვაქვს, რომ ამ აუზს წლეულს მაინც ავამუშავებთ.

მანამდე კი ჩვენს მოცურავეებს, წყალში მხტომელებსაც და სხვებსაც მართლაც წყალში გადასახტომად აქვთ საქმე, ოღონდ ეგაა, წყალი ვერ უპოვიათ.

**ავთანდილ ბურასაშვილი**



# რუსებს ნაადრევად მარხავენ

**მსოფლიო თასი. გერმანია — ჩეხეთი 7:1, რუსეთი — სლოვაკეთი 7:4, აშშ — კანადა 5:3, შვედეთი — ფინეთი 5:2, კანადა — სლოვაკეთი 3:2**

შაბათს მსოფლიო თასის გათამაშების სამი მატჩიდან ორი ყველასათვის მოულოდნელი შედეგით დასრულდა.

ნამდვილი სენსაცია მოახდინეს გერმანელებმა, რომელთაც ჩეხეთს უმასპინძლეს. შაიბების უკეთესი შემგდებების წყალობით მსოფლიოს ჩემპიონებს ფრეც კი აძლევდათ ხელს, მაგრამ მათ პრობლემებიც საკმაოდ ჰქონდათ — მწვრთნელ ბუკაჩს ტურნირის წინ ჯერ იაგრმა გაუხადა თავშისაცემად საქმე, შემდეგ კი პაშეკმა განაცხადა უარი თამაშზე. მიუხედავად ყველაფრისა, ჩეხთა ასეთ მარცხს მაინც არავინ ელოდა. მითუმეტეს, რომ გერმანელებს ისინი არასოდეს უთმობდნენ (გამონაკლისი 1984 წლის კანადის თასია — 4:4). მატჩის პირველ ექვს წუთში ანგარიში უკვე 3:0 იყო გერმანელთა




სასარგებლოდ — ჯერ ლიუდემანმა არ გუშვა ხელიდან შანსი, შემდეგ კი რუმრიხმა და ბენდამ იმარჯვეს, თანაც, ყველაფერი სულ 21 წამში მოახერხეს. პირველი პერიოდი 4:0 დამთავრდა. არც დარჩენილ დროში დაუზოგავთ მასპინძლებს მეტოქის გასანადგურებლად თავი. მესამე პერიოდში კვლავ ბენდა, დუსედა, ლუპციგი გამოირჩეოდნენ. ერთადერთი საპასუხოს შეგდება იაგრმა მხოლოდ 0:6-ზე შეძლო. ამ გამარჯვების შედეგად გერმანელები ჯგუფში მესამენი აღმოჩნდნენ და 5 სექტემბერს ამერიკის ჯგუფის მეორე გუნდს შეხვდებიან. ჩეხებს კი პროფესიონალების სიუხვემ (14) ვერ უშველა — თასის გათამაშებას გამოეთიშნენ.

მეორე შეხვედრა გამართა რუსეთის ნაკრებმა. პირველ ტურში რუსები კანადასთან დამარცხდნენ. ტურნირის ორგანიზატორების უპატივცემულობამ (მატჩის წინ რუსეთის ჰიმნის ნაცვლად სამგლოვიარო მარში აჟღერდა) რუსების გულისწყრომა გამოიწვია და სლოვაკებთან საბრძოლველად განაწყო ისინი. თავის მხრივ, სლოვაკებიც აღიარებდნენ, რომ რუსებთან შეხვედრას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. ასე რომ, ცხარე და უკომპრომისო ბრძოლა გაჩაღდა. პირველ პერიოდში სლოვაკები ორჯერ დაწინაურდნენ, შემდეგ კი გათანაბრება მოუხდათ — 3:3. მესამე პერიოდშიც კინაღამ შეძლეს ეს, როდესაც ციგერმა ანგრიში 5:4-მდე შეამცირა. მაგრამ რუსების, განსაკუთრებით კი მათი პირველი სამეულის კლასი მაინც უფრო მაღალი იყო (დაშავებული ბურე ნემჩინოვმა შეცვალა). ამათ ანგარიშზე 10 ქულაა. აქტიურობით გამოირჩეოდა ახალგაზრდა მცველი სერგეი გონჩარიც. როგორც ჩანს, ფეტისოვის შემდეგ სწორედ იგი ასრულებს მცველი-ლიდერის ფუნქციას. რუსები უკეთ იყენებდნენ რიცხობრივ უპირატესობასაც (5 შემთხვევიდან — 3-ჯერ).

მესამე მატჩს, აშშ-ის ნაკრების ლიდერის ბრეტ ჰალის წყალობით, თავისუფლად შეიძლება „ჰალი — კანადის“ შეხვედრა ვუწოდოთ. მეორე პერიოდში, როდესაც კანადა 2:1 იყო დაწინაურებული (ლეკლერის შაიბა გრეცკიმ და მესიემ უპასუხოდ არ დატოვეს), ჰალმა ორჯერ მიაწოდა საგოლე პასი თავის მუდმივ პარტნიორებს უეიტს და იანგს მესამეში კი თავად შეაგდო ორჯერ, აქედან ერთხელ — ცარიელ კარში (ამ გოლამდე გრეცკიმ თავისი მეორე შაიბა გაიტანა). ჰალის ანგარიშზე 4 ქულაა. ამერიკელები უფრო დამაჯერებლად გამოიყურებოდნენ, განსაკუთრებით ეს დაცვაში მოთამაშე ვარსკვლავებზე ლიჩიზე, ჩელიოსზე და ჰაუსლიზე ითქმის. კანადელებს კი პრობლემა გასჩენიათ თავიანთ ლიდერთა ასაკის გამო — გრეცკიმ, მესიემ, კოფიმ კარგა ხანია 30-ს გადააბიჯეს, ახალგაზრდათაგან კი მხოლოდ ლინდროსის გამორჩევა შეიძლება. აღსანიშნავია, რომ ეს აშშ-ის ნაკრების პირველი გამარჯვება კანადასთან ამ თასის გათამაშებაზე. აქამდე მათ შორის გამართული ათი შეხვედრიდან ცხრა ჩრდილოელების გამარჯვებით დასრულდა (მათ შორის 1991 წლის ფინალიც 4:1, 4:2), ერთში კი ფრე დაფიქსირდა.

არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა 1 სექტემბერს სტოკჰოლმში ჩატარებულ შეხვედრას. ერთმანეთს ორი სკანდინავიური ნაკრები — შვედეთი და ფინეთი ხვდებოდა. ამათი ბრძოლა მუდამ უშეღავათოდ მიმდინარეობს. გამონაკლისი არც ეს თასია. აქამდე მეტოქეებმა ამ ტურნირზე ორ-ორჯერ შეძლეს წარმატების მიღწევა.

შვედებმა იმთავითვე მიმართეს მათთვის ახალ ტაქტიკურ ვარიანტს, რომელსაც ნჰლ-ში მეტოქის დევნა-შევიწროვებას უწოდებენ და ბევრი კლუბიც იყენებს მას. სანამ ფინელებს ძალა ჰყოფნიდათ, მედგრად ეწინააღმდეგებოდნენ მეტოქეს და დაწინაურდნენ კიდეც. სელიანემ ტურნირზე თავისი მესამე შაიბა შეაგდო, შემდეგ კი ნიემინენმა ანგარიში ორამდე გაზარდა. მაგრამ შვედებმა თანდათან ხელთ იგდეს ინიციატივა და ჯერ გაათანაბრეს (სუნდსტრიომი, ლიდსტრიომი), ბოლო პერიოდში კი თამაშის ბედის გარდამტეხი შაიბაც (სუნდინი) შეაგდეს. ამის მერე შვედების ლიდერმა კიდევ ერთხელ ისახელა თავი, მანამდე კი ფორსბერგმა გაიტანა. ამრიგად, შვედებმა სამ თამაშში ექვსი ქულა დააგროვეს და ნახევარფინალში გავიდნენ. ბომბარდირთა სიას კი 6 ქულით მათს სუნდინი ლიდერობს. 5-5 ქულა აქვთ ფორსბერგს, ფიოდოროვს, სელიანეს. ფინეთი 6 სექტემბერს ამერიკის ჯგუფის მესამე გუნდს შეხვდება.

**სამველ ლარიბიანი**

ევრო ჯგუფი. საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **შვედეთი** | 3 | 3 | 0 | 0 | 14:3 | 6 |
| **ფინეთი** | 3 | 2 | 0 | 1 | 17:11 | 4 |
| **გერმანია** | 3 | 1 | 0 | 2 | 11:15 | 2 |
| **ჩეხეთი** | 3 | 0 | 0 | 3 | 4:17 | 0 |

ხუთშაბათს, 5 აგვისტოს თბილისის ჭადრაკის სასახლეში გაიმართება მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადისადმი მიძღვნილი პრესკონფერენცია. დასაწყისი 12 საათზე.




„მოგვენატრა გუდაური“

**სამთო სათხილამურო სკოლა აცხადებს ახალი ნაკადის მიღებას. მიიღებიან ბავშვები 7-დან 13 წლამდე. შეკრება ყოველ კვირას 11 საათზე „ლოკომოტივის“ სტადიონის შესასვლელთან. ტელეფონი: 98-95-84, 98-95-83 98-95-85**

**მსურველთა ჩაწერა სკოლაში დასრულდება 30 სექტემბერს.**

## ჩოგბურთი

# აშშ-ის ღია პირველობა

# დასი თანდათან იცხრილება

### დღე მეხუთე

პარასკევი, 30 აგვისტო

ვაჟები

დასრულდა მეორე წრე. გავარდა ერთადერთი განთესილი, ისიც სათადარიგო: გი ფორჟე (საფრანგეთი) — ფელიქს მანტია (ესპანეთი, 17) 6:4, 7:5, 6:3

დანარჩენებმა მოიგეს: პიტ სამპრასი (აშშ, 1) — ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი) 6:3, 1:6, 6:3, 4:6, 6:4 (2 საათსა და 36 წუთში). სამპრასი გამოტყდა, მეხუთე ხელში თავს დავეკითხე, გავარდები თუ შეჯიბრს გააგრძელებო. გულმა გაგრძელება მიკარნახაო.

გორან ივანიშევიჩი (ხორვატია, 4) — სქოთ დრეიპერი (ავსტრალია) 6:7 (1-7), 6:3, 6:4, 6:4. ივანიშევიჩს 52 შედეგიანი დარტყმა გამოუვიდა, მაგრამ თავადაც 59-ჯერ შეცდა.




თოდ მარტინი (აშშ, 12) — ანდრეა გაუდენცი (იტალია) 6:3, 6:2, 6:2; სედრიკ პიოლინი (საფრანგეთი, 16) — რობერტო კარეტერო (ესპანეთი) 4:6, 6:2, 6:2, 6:1

სტეფან ედბერგი (შვედეთი) — ბერნდ კარბახერი (გერმანია) 3:6, 6:3, 6:3, 1:0. მერე კარბახერს საზარდული გაეჭიმა და დანებდა.

გაიმარჯვეს სლავებმა: ანდრეი მედვედევი (უკრაინა) — იან კროშლაკი (სლოვაკეთი) 6:4, 6:3, 6:2; ალექსანდრ ვოლკოვი (რუსეთი) — მიქაელ თილსტრომი (შვედეთი) 1:6, 6:4, 6:1, 4:6, 7:6 (10-8). აქ ბოლო ხელშიც ცნობენ თაი-ბრეიქს! პეტრ კორდა (ჩეხეთი) — ბოჰდან ულიხრაჰი (ჩეხეთი) 6:0, 7:6 (7-5), 6:2; მაგრამ ერთმა მაინც წააგო: მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) — ანდრეი ოლხოვსკი (რუსეთი) 6:3, 6:4, 6:2

ქალები

აქ მესამე წრე დაიწყო. განთესილთაგან გავარდა ერთადერთი: ასა კარლსონი (შვედეთი) — გაბრიელა საბატინი (არგენტინა, 15) 7:5, 3:6, 6:2

სხვა განთეილთა შედეგები: მონიკა სელეში (აშშ, 2) — დალი რანდრიანტეფი (მადაგასკარი) 6:0, 6:2; კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი, 4) — ჰელენა სუკოვა (ჩეხეთი) 6:4, 6:3

ლინდზი დავენპორტი (აშშ, 8) — ანგაელ სიდო (საფრანგეთი) 6:0, 6:3 (54 წუთში). 20 წლის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, სიმაღლით 190 სანტიმეტრი რომაა, ბოლო ხანს კი წონაში 9 კილო დაიკლო, განაცხადა, ჩემი თამაშით კმაყოფილი მაინც არა ვარო. არადა, სამივე მატჩი ორ-ორ ხელში მოიგო და ჯამში ოდენ 9 გეიმი წააგო.

### დღე მეექვსე

შაბათი, 31 აგვისტო

ვაჟები

მაიქლ ჩანგი (აშშ, 2) — ვინს სპეიდია (აშშ) 6:4, 5:7, 2:6, 7:5, 6:3 (3 საათსა და 50 წუთში). 22 წლის 69-ე ჩოგანი სპეიდია მეოთხე ხელში მოსაგებად აწვდიდა, მაგრამ ჩანგმა გაუძლო და მოიგო, რის შემდეგაც ალალად აღიარა, არცა მჯერა, რომ გავიმარჯვეო. მაიქლის პირველი მოწოდებების მხოლოდ 35 პროცენტი დაეცა მეტოქის ნახევარზე!

თომას მუსტერი (ავსტრია, 3) — სერხი ბრუგერა (ესპანეთი) 6:2, 6:4, 6:3. თიხის ორი დიდოსტატის თამაში მუსტერმა კი მოიგო, მაგრამ მოსწრებულად შენიშნა, ნიუიორკელი მაყურებლების გაუთავებელ ყაყანს რომ მიეჩვიო, ათი წელია საჭირო, შეჯიბრი კი ოდენ ორი კვირა გრძელდებაო.

ანდრე აგასი (აშშ, 6) — იან სიმერინკი (ჰოლანდია) 6:4, 6:2, 7:6 (9-7)

ხუთი ხელი გასტანა კიდევ ერთმა მატჩმა: ხავიერ სანჩესი (ესპანეთი) — ჯეისონ სთოლთენბერგი (ავსტრალია) 6:4, 3:6, 4:6, 6:2, 7:6 (8-6)

ქალები

შტეფი გრაფი (გერმანია, 1) — ნატაშა ზვერევა (ბელარუსი) 6:4, 6:2. გრაფმა თუმც თავიდან წააგო თავისი მოწოდება, ბოლოს ისევ დაანგრია სლავი და საერთო ჯამში 16-0 დაწინაურდა. მერე გაირკვა, რომ შტეფის მაინც მოუწევს მოწმედ გამოსვლა მამამისის სასამართლოზე, რომელიც ზეგ იწყება მანჰაიმში.

არანჩა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი, 3) — ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) 6:1, 6:0; იანა ნოვოტნა (ჩეხეთი, 7) — თამი ვითლინგერ-ჯოუნზი (აშშ) 6:2, 6:3; მარტინა ჰინგისი (შვეიცარია, 16) — ნაოკო კიძიმუტა (იაპონია) 6:2, 6:2; კარინა ჰაბსუდოვა




(სლოვაკეთი, 17) — სანდრა დოპფერი (ავსტრია) 6:2, 6:3; ანა კურნიკოვა (რუსეთი) — ბარბარა პაულუსი (ავსტრია, 14) 3:6, 6:2, 6:4. 15 წლის რუსის შემდეგი მეტოქე თვით შტეფი გრაფია.

### დღე მეშვიდე

კვირა, 1 სექტემბერი

ვაჟები

თუ წინა ორ დღეს ცხელოდა, კვირას მოილრუბლა და ნიავმაც წამოუბერა.

სამპრასი (1) — ვოლკოვი 6:3, 6:4, 6:2; ფილიპუსისი — პიოლინი (16) 6:3, 6:2, 6:4. ორივე თამაში საათსა და 29 წუთს გაგრძელდა. განსხვავება ის იყო, რომ სამპრასმა 18 ეისი გაახერხა, ფილიპუსისმა კი — 25. ახლა ძალისმიერი ჩოგბურთის ორი აპოლოგეტი მერვედფინალში შეიბმება.

დანარჩენ მერვედფინალებში შემდეგი წყვილების გამარჯვებულები ითამაშებენ: ედბერგი — პაულ ჰაარჰუისი (ჰოლანდია) 6:4, 7:6 (7-4), 6:1; ორივენი 30 წლისანი არიან. ჰაარჰუისს ნიუ-იორკში წინათ დაუმარცხებია ბეკერი და მაკინროუ, ამჯერად კი ბოლო დიდი სლემიდან ედბერგის გაგდებაც სურდა. თიმ ჰენმანი (ბრიტანეთი) — მარტინი (12) 6:2, 7:6 (7-4), 6:4

ფორჟე — შენგ სხალკენი (ჰოლანდია) 6:2, 7:5, 4:6, 4:6, 6:0; ალექს კორეჩა (ესპანეთი) — იონას ბიორკმანი (შვედეთი) 6:2, 4:6, 4:6, 6:4, 6:3

ივანიშევიჩი (4) — ჰენდრიკ დრიკმანი (გერმანია) 6:3, 6:2, 7:6 (13-11); მედვედევი — კორდა 6:2, 6:4, 6:3

ქალები

მერვედფინალები: სელეში (2) — სანდრინ ტესტიუ (საფრანგეთი) 7:5, 6:0; ამანდა კეტცერი (სამხრეთი აფრიკა) — ლიზა რეიმანდი (აშშ) 6:4, 6:1

მარტინესი (4) — კარლსონი 6:2, 6:1; კონჩიტა გაეყარა ბრაზილიელ მწვრთნელ კარლოს კირმაიერს და ამჯერად რჩევა-დარიგებას პიტერ მურისგან იღებს. ლინდა ვაილდი (აშშ) — დავენპორტი (8) 6:2, 3:6, 6:0 (საათსა და 18 წუთში). ტყუილად როდი შიშობდა ოლიმპიური ჩემპიონი!

ასოშიეითიდ პრესის ფოტოები

## მძლეოსნობა

### ჯეკ-პოტი ხუთმა გაინაწილა

პარასკევს, ბერლინის ოლიმპიურ სტადიონზე, „ოქროს ოთხეულის" ბოლო შეჯიბრი იყო. 20 კილო ოქრო საბოლოოდ ოთხმა კაცმა და ერთმა ქალმა გაინაწილა: ფრანკი ფრედრიქსმა (ნამიბია, 200 მ), ვილსონ კიპკიტერმა (დანია, 800), ჯონათან ედვარდსმა (ბრიტანეთი, სამხტომი), ლარს რიდელმა (გერმანია, ბადრო) და სტეფკა კოსტადინოვამ (ბულგარეთი, სიმაღლე). ხელი მოეცარა მხოლოდ 400 მეტრზე თარჯმორბენალს, ამერიკელ ოლიმპიურ ჩემპიონ დერიქ ადქინსს, ვინაც ბერლინში მესამე ადგილზე დარჩა. დანარჩენებმა, ისევე როგორც ოსლოში, ციურიხსა და ბრიუსელში, აქაც გაიმარჯვეს.

ფრედრიქსმა (19,97) დაამარცხა თვით მაიქლ ჯონსონი (20,02). იგივე მოხდა ოსლოშიც, ატლანტაში კი ჯონსონმა ფანტასტიკური მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 19,32! მას აქეთ ნამიბიელი ამბობს, ჯონსონთან წაგება არა მსიამოვნებს; მთავარი ჩემთვის გამარჯვებაა, ამიტომ შედეგზე დიდად არ ვდარდობო.

100 მეტრზე ამერიკელმა დენის მიჩელმა (10,08) აჯობა იამაიკელ მაიქლ გრინს (10,09) და კანადელ ოლიმპიურ ჩემპიონ დონოვან ბეილის (10,13). ატლანტის შემდეგ მიჩელ — ბეილის შეჯიბრში ანგარიში 3:2-ია.

ქალთა გარბენში ოლიმპიურმა ჩემპიონმა გეილ დივერსმა (აშშ, 10,89) დამარცხა იამაიკელი მერლინ ოთი (10,94) და ამერიკელი გვენ თორენსი (11,07).

მილზე, 1 500 მეტრის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ალჟირელმა ნურადინ მორსელიმ (3.49,09) აჯობა 5000 მეტრის ჩემპიონ ვენუსტე ნიიონგაბოს (ბურუნდი). 5000 მეტრი მოიგო 20 წლის კენიელმა დანიელ კომენმა (13.02,62), ვინაც ორი დღის შემდეგ რიეტიში (იტალია) 3000 მეტრი 7.20,67-ში გაირბინა, რაც ბევრით სჯობს წინა მსოფლიო რეკორდს (მორსელი, 7.25,11; მონტე-კარლო, 1994 წლის 2 აგვისტო). მორსელიმ აქაც დაამარცხა ნიიონგაბო, ამჯერად 1500 მეტრზე.

## მოტოციკლი

### მე-500, [illegible]

მოტოციკლისტთა მსოფლიო პირველობა 1949 წლიდან იმართება. და [illegible] წელს, სექტემბრის [illegible] ბლად გაშენებულ იმოლას ტრასაზე 500 კუბური სანტიმეტრის კლასში საიუბილეო, მე-500 დიდი პრიზი გათამაშდა.

იმოლაზე მოტოციკლისტებს 1988 წლის შემდეგ არ ესპარეზათ. მას აქეთ იქ ბევრი რამ შეიცვალა, რადგან 1994 წელს ფორმულა-1-ის პილოტები სენა და რაცენბერგერი დაიღუპნენ. ამის გამო ტრასა გაამარტივეს და უსაფრთხო გახადეს, მაგრამ მოტოციკლისტთა პირველობის ლიდერმა მიკი დუენმა მაინც შენიშნა, საფარი ცოტა ოღორჩოღორო რომ არ ჰქონდეს, იდეალური სარბოლო ადგილი იქნებოდაო.

პარასკევს, ვარჯიშზე დარი იდგა, შაბათს, კვალიფიკაციისას კი გადაუღებლად წვიმდა. ამიტომ იყო, რომ ვარჯიშის შედეგი ვერავინ გააუმჯობესა. საბედნიეროდ, არც არავინ დაცემულა. არადა, პარასკევს ალექს კრივიეს ისეთი მარცხი შეემთხვა, რომ მაჯა დაუსივდა და ინექციებითა და ცივი სალბუნებით მკურნალობა დასჭირდა.

კვირას, რბოლის სტარტზე პოული დუენს ეჭირა. პირველი რიგში მას მხარი დაუმშვენეს ბეილმა, აბემა და კადალორამ. კრივიეს მეხუთე დრო ალმოაჩნდა, მაგრამ უმალვე მეორე ადგილზე გადავიდა და ფიცხელი შეჯიბრი გაუმართა დუენს, ვისაც წინა ორ ეტაპზე სასაწაულად აჯობა.

მერე მოხდა უცნაური რამ: მე-18 წრეზე გაწვიმდა. ორგანიზატორებმა რბოლა შეწყვიტეს და ადგილები 17 წრის შედეგების მიხედვით გაანაწილეს. სულ მრბოლებს 25 წრე უნდა გაესრულებინათ. მალე ტრეკი ერთიანად დაიტბორა.

ბოლო ორი წლის ჩემპიონმა დუენმა წელს ამგვარად მოიგო მეშვიდე გრან-პრი. შემდეგი, მე-13 ეტაპი — კატალონიის დიდი პრიზი 15 სექტემბერს გათამაშდება. ჩემპიონატის დასრულებას სამი რბოლა უკლია.

იმოლას დიდი პრიზი. 1. მიკი დუენი (ავსტრალია, ჰონდა) 29.40,732; 2. ალექს კრივიე (ესპანეთი, ჰონდა) 29.40,836; 3. ტადაიუკი ოკადა (იაპონია, ჰონდა) 29.43,018; 4. ჟან-მიშელ ბეილი (საფრანგეთი, იამაჰა) 29.50,773; 5. ნორიფუმი აბე (იაპონია, იამაჰა) 29.52,964; 6. ლუკა კადალორა (იტალია, ჰონდა) 29.53,098; ...

12 ეტაპის ჯამი: დუენი 256 ქულა; კრივიე 199; კადალორა 136; აბე და ალეშანდრუ ბარუში (ბრაზილია, ჰონდა) 126; სქოთ რასელი (აშშ, სუძუკი) 121; ოკადა 93; ბეილი 90; ...



ფორმულა-1-ის მსოფლიო პირველობის ლიდერის — ბრიტანელი დეიმონ ჰილის ვექილმა მაიქლ ბრინმა კვირას განაცხადა, რომ „უილიამსმა" შეწყვიტა მოლაპარაკება მის კლიენტთან, რის გამოც ჰილი გაისად მათგან წავა. დეიმონს ჯერჯერობით სამ გუნდთან უჭირავს საქმე. ესენი არიან „მაკლარენი", „ჯორდანი" და ჯეკი სთიუართის ახალი გუნდი.

## რაგბი

მსოფლიო ჩემპიონი სამხრეთ აფრიკელები შერცხვენას გადაურჩნენ — წელს ზედიზედ მეხუთედ აღარ დამარცხდნენ ახალ ზელანდიელებთან. შარშანდელი მსოფლიო თასის ფინალის დარად, „ქურციკებმა" კვლავ საკმაო ფხა გამოიჩინეს იოჰანესბურგის „ელის პარკზე" და „ოლ ბლექსი" იქ ისევ გააბითურეს, თუმც კი სამ-ტესტა სერია 1-2 წააგეს. ამით შონ ფითსპატრიქი ისტორიაში მაინც შევიდა პირველ კაპიტნად, ვისი წინამძღოლობითაც ზელანდიელებმა აფრიკულ ტურნეზე სერია მოიგეს.



# ჩაშლილი სლემი

ტრავმებმა მასპინძლები ამ თამაშის წინაც შეანუხეს და შემადგენლობაც საკმაოდ აურიეს, მაგრამ ესენი არ გამტყდარან; გამეტებითაც გაიძახოდნენ, ამჯერად მაინც დავამარცხებთ აქამდე უძლეველ „ოლ ბლექსს" — სხვა რომ არა იყოს რა, „ელის პარკზე" გვინევს თამაშიო.

„ქურციკთა" ყველაზე დიდი დანაკლისი ნარინჯის ზორზოხი ბურჯი ოზ დიურანი იყო, ვისაც წინა თამაშის მერე კოჭი დაუსივდა. გარდა ამისა, შეიცვალა კვაჭიც: ერთი სკანდალური პიროვნების — ნაციხარი ჩრდ. ტრანსვაალელი ჰენრი ტრომპის ადგილი დაიჭირა ტრანსვაალელმა ჯეიმზ დოლტონმა, ვისაც თავი ქვეყნის უძლიერეს კვაჭად კი მოაქვს, მაგრამ უამრავჯერ ყოფილა დისკვალიფიცირებული, რის გამოც მწვრთნელ ანდრე მარკპრააფს გუნდში აღარ შეუყავდა. ახლა, დოლტონი, ეტყობა, გამოსწორდა და აგვისტოს ბოლო დღეს ოდენ მერვე კეპი მოიხვეჭა. მის გარდა, მშობლიურ სტადიონზე დაუბრუნდნენ თხუთმეტეულს მსოფლიო ჩემპიონები: შუამარბი იაპი მულდერი და მეორეხაზელი კობუს ვიზე.

თამაშის წინადღით ნაღდი სასწაული მოხდა: ცნობილია, რომ სამხრეთი აფრიკის რაგბის მეუფე, მილიონერი ლუი ლეიტი დამარცხებას ვერ ჰგუობს, მარკპრააფს კი აქამდე გამართული შვიდი მატჩიდან ხუთი წაეგო. და მაინც, მას წლის ბოლომდე გაუგრძელეს კონტრაქტი: გვიან შემოდგომასა და ზამთრის პირზე აფრიკელები არგენტინას, საფრანგეთსა და უელსს ესტუმრებიან. სამაგიეროდ, იოჰანესბურგის ტესტით სამსახურის ვადა გაუვიდა ნაკრების მენეჯერ მორნე დიუპლესის და რაკი ლმობიერი კაცის სახელი დაეგდო, გუნდში აღარ დაუტოვებიათ — მარკპრააფი „ქურციკთა" ერთპიროვნული ბელადი შეიქნა.

ზელანდიელთა ბანაკსაც მიეძალა ტრავმები, დაღლილობა და ნოსტალგია. მწვრთნელი ჯონ ჰართი და ფითსპატრიქი ველარ მალავდნენ, რომ ყველას შინ ყოფნა მონატრებოდა. და მაინც, სტუმრები მოსაგებად აპირებდნენ თამაშს, რადგან ერთი, რომ რაგბი რაგბია და მეორეც, თუ „ქურციკებს" ამჯერადაც დაამარცხებდნენ, აფრიკელებს დაა-სლემ-ებდნენ და სამაგიეროს გადაუხდიდნენ 1949 წლის შერცხვენისათვის: მაშინდელმა „ოლ ბლექსმა" ტურნეზე ხომ ოთხივე ტესტი წააგო.

საეჭვო იყო დაშავებული იენ ჯოუნზისა და უცხო ვირუს შეყრილი ჯეფ ვილსონის თამაში. „ოლ ბლექსის" ჯადოქარმა ექიმებმა ორივე მაინც დააყენეს ფეხზე. რაც შეეხება 10 ნომერს, დაშავებული საიმონ ქელეინის ნაცვლად უნივერსალი და პრეტორიის ტესტის მომგები ჯონ პრესტონი კი აღარ ათამაშეს, არამედ უკანა ხაზის ძირითადი მწყემსი ენდი მერთენსი, ვინაც მცირე ოპერაციის შემდეგ განიკურნა, მაგრამ ამთავითვე ვიტყვით, რომ სუსტად ითამაშა: რვა დარტყმით მხოლოდ სამი გოლი გაიტანა.

მსაჯობდა უელსელი დერიქ ბევანი, ვინაც შარშანდელ მსოფლიო თასზე აფრიკელებს ავსტრალიასთან და საფრანგეთთან უმსაჯა, ფინალის შემდგომ ბანკეტზე კი ლეიტისგან საჩუქრად საჯაროდ მიიღო ოქროს საათი, აქაოდა მსოფლიოს უპირველესი არბიტრი ხარო. ახლაც, წაგებულ ზელანდიელებს არ მოეწონათ ბევანის მიერ რაქისა და მოლის წესების გააზრება, თუმც კი აღიარეს, ჩვენი მარცხი ამისი ბრალი სულაც არააო.

„ქურციკები" თავიდანვე საომრად დარაზმულიყვნენ. შერკინებას დაემულამებინა ბურთის შენარჩუნება. აშკარად ფორმაში იყვნენ იუსტ ფანდერვესტჰოიზენი და ანდრე ჟუბერი, ხოლო 10 ნომრად ჯოელ სტრანსკის მაგივრად აღდგენილმა ჰენრი ჰონიბალმა უკანა ხაზი აბურთავა.

მე-6 წუთზე სტუმრებმა რაქი ჩააქციეს და ჰონიბალმა 40 მეტრიდან გახსნა ანგარიში, მე-11 წუთზე კი რობინ ბრუქი უაშკარავეს თამაშგარეში დარჩა 6:0. მერე შერკინებაში უსწოროდ დგომისათვის დევი თერონი დაჯარიმდა და მერთენსმა 58 მეტრიდან (!) გაიტანა გოლი.

მერთენსმა შესვენებამდე კიდევ ორჯერ სცადა კარის შორიდან აღება, ერთხელ კი, 31-ე წუთზე სასწაული მარცხი შეემთხვა: კარის პირდაპირ, მისგან 20 მეტრის მოშორებით დანიშნული საჯარიმოდან ბურთი ძელს მოარტყა. ამასობაში, 25-ე წუთზე ჟუბერმა 40-მეტრიანი გარღვევა განახორციელა, მაგრამ პიტერ ჰენდრიქსმა ბურთი ძირს რომ დააგდო, მას ფანდერვესტჰოიზენი დასწვდა და კარსუკან დაამიწა 13:3. მერე ჟუბერმა საჯარიმო შორიდან გაიტანა, რასაც ზედ შესვენების წინ ფითსპატრიქის მიერ ახლოდან გატანილი ლელო მოყვა 16:8.

თამაში რომ განახლდა, ჟუბერმა ისევ ყოჩაღად დაკრა შორიდან, მერე კი მანვე გარს შემოურბინა ზელანდიელთა დაცვას და ლელო გაუტანა. გამოხდა 5 წუთი, ფანდერვესტჰოიზენმა ახლოდან გაათამაშა საჯარიმო და ანდრე ფენტერი ლელოში შეგზავნა, რასაც ჟუბერმა კიდევ ერთი საჯარიმო მოაყოლა. მატჩის დამთავრებამდე 23 წუთი რჩებოდა, „ქურციკები" კი არნახული სხვაობით — 32:8 უგებდნენ „ოლ ბლექსს", ვისაც წელს გამართული ცხრავე თამაში მოეგო.

სტუმრები ბოლო მეოთხედში ათამაშდნენ, მაგრამ ლელოები დასკვნით ხუთ წუთშიღა გაიტანეს: 76-ე წუთზე მერთენსის მიერ წინ დატყმული ბურთი ძელიდან რომ აირეკლა, ვოლთერ ლითლმა კარს უკან დაამიწა, 81-ე წუთზე კი 9 ნომერმა ჯასთინ მარშალმა მეტოქის ლელოსთან გამართული რაქიდან აიღო ბურთი და თუმც სამი კაცი ბოჭავდა, ლელო მაინც გაიტანა. 32:22 — ზელანდიელები სამარცხვინოდ წაგებას დაუძვრნენ.

### ტესტ-სერია

ბოლო, III ტესტი

შაბათი. 31 აგვისტო

იოჰანესბურგი. ელის პარკი

| | | |
|---|---|---|
| სამხრეთი აფრიკა | 32 | (16) |
| ახალი ზელანდია | 22 | ( 8) |

ქურციკები: ჟუბერი; ჯ. სვართი, მულდერი (სტრანსკი, 48), ფანსხალკვიკი, ჰენდრიქსი; ჰონიბალი, ფანდერვესტჰოიზენი; თერონი (პეიგელი, 66), დოლტონი, პურტერი; ენდრიუზი, ვიზე (ფანპირდენი, 39); კრუგერი, ა. ფენტერი (ფივი, 75), ტაიხმანი (კაპ). — ლ: ფანდერვესტჰოიზენი, ჟუბერი, ფენტერი; გ: ჰონიბალი; 5ს: ჰონიბალი (2), ჟუბერი (3)

ოლ ბლექსი: ქალენი (იერემია, 70); ვილსონი, ბანსი, ლითლი, ოზბორნი; მერთენსი, მარშალი; დაუდი, ფითსპატრიქი (კაპ), ბრაუნი; ი. ჯოუნზი, რ. ბრუქი; მ. ჯოუნზი (თეილორი, 53), კრონფელდი, ზ. ბრუქი. — ლ: ფითსპატრიქი, ლითლი, მარშალი; 2გ და ს: მერთენსი

მსაჯი დერიქ ბევანი (უელსი)

„სარბიელში"
რეკლამის მოსათავსებლად დარეკეთ
95 26 90

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მეძველია
რედაქტორი
თამაზ მიგრიაული
სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
მერაბ რატიშვილი
კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29